პროექტი: „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში დისკრიმინაციის, სიძულვილის ენისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლთათვის არასამართლებრივი დაცვის მექანიზმების საშუალებით მართლმსაჯულებაზე წვდომის განმტკიცება“.

საქართველოში სიძულვილის ენაზე რეაგირების ეროვნულ მექანიზმთა რუკა

სისტემური ანალიზისა და პოლიტიკის ანგარიში

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს მიერ ერთობლივად დაფინანსებული პროექტის „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში დისკრიმინაციის, სიძულვილის ენისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლთათვის არასამართლებრივი დაცვის მექანიზმების საშუალებით მართლმსაჯულებაზე წვდომის განმტკიცება“ ფარგლებში (პროგრამა „პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის II“). დოკუმენტში გამოხატული მოსაზრებები არ ასახავს რომელიმე მხარის ოფიციალურ პოზიციას.

სარჩევი

შესავალი	4
საქართველოში სიძულვილის ენაზე რეაგირების მექანიზმები: სიტუაციური ანალიზი	8
საქართველოში სიძულვილის ენის მექანიზმთა სისტემური რუკა	22
სისტემური დიზაინის ჩარჩო	22
სიძულვილის ენის მექანიზმთა რუკა	26
სამომავლო მიმართულებები: შემდგომი ნაბიჯები საქართველოში სიძულვილის ენასთან საბრძოლველად	45
დანართი 1. ადგილობრივი დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა	52
დანართი 2. ბიბლიოგრაფია	54
დანართი 3. გამოწვევები, განხილული სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით გამართულ სემინარებზე	56
დანართი 4. სამოქმედო იდეები, განხილული სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით გამართულ სემინარებზე	58

შესავალი

ბოლო წლებში ევროპის კონტინენტზე გაიზარდა ინფორმირებულობა იმ საფრთხეების შესახებ, რომლებსაც სიძულვილის ენა უქმნის საზოგადოებას, ადამიანის უფლებებს, დემოკრატიასა და კანონის უზენაესობას. ამ ძალისხმევაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ევროპის საბჭოს მოძრაობას „არა სიძულვილის ენას“ და, ზოგადად, თვითონ ორგანიზაციას, რომელიც წამყვან როლს ასრულებს აღნიშნულ ფენომენთან ბრძოლაში, შესაბამისი სტანდარტებისა და პრეცედენტული სამართლის შემუშავებით.

სიძულვილის ენასთან საბრძოლველად (მათ შორის, ინტერნეტ სივრცეში), ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები მუშაობენ სხვადასხვა ინიციატივაზე, როგორიცაა: კანონმდებლობის მიღება, საგამოძიებო და სასამართლო მექანიზმების გაუმჯობესება, დიალოგი მედიასთან და განათლებისა და ცნობიერების ამაღლების მხარდაჭერა. ამგვარი ძალისხმევა მისასალმებელია, თუმცა მდგრადი შედეგების მიღწევა საჭიროებს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ კომპლექსურ და თანმიმდევრულ მიდგომას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, რომელიც მუდმივად ვითარდება[1], ევროპის საბჭოს სტანდარტები და მონიტორინგის მიგნებები[2] ქმნიან ჩარჩოს, რომლის საფუძველზეც უნდა შემუშავდეს სიძულვილის ენასთან ბრძოლის ეროვნული სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები.

სახელმწიფოებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგების საფუძველზე, ევროპულმა კომისიამ რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI) შეიმუშავა ზოგადი პოლიტიკის N15 რეკომენდაცია. ამ დოკუმენტის თანახმად, კომპლექსური მიდგომა უნდა იცავდეს ბალანსს გამოხატვის თავისუფლებასა და სხვა უფლებებს შორის, მით უფრო, მოწყვლადი ჯგუფების შემთხვევაში, რომლებიც სიძულვილის ენის განსაკუთრებული სამიზნეები არიან. ასეთი მიდგომა გაზრდის საზოგადოების მედეგობასაც სიძულვილის ენის მიმართ. რეკომენდაცია ითვალისწინებს სიძულვილის ენის ინკლუზიურ განმარტებას და განსაზღვრავს ძირითად კომპონენტებს, რომლებიც საჭიროა ამ ფენომენთან ბრძოლის კომპლექსური მიდგომის უზრუნველსაყოფად. ესენია: საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ღონისძიებები, თვითრეგულირება, მსხვერპლთა მხარდაჭერა, საგანმანათლებლო და ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები, მათ შორის, საპირისპირო ენის გამოყენება.

ECRI-ის ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია შეეხება ისეთ სიძულვილის ენას, რომელიც ხვდება კომისიის კომპეტენციის სფეროში, თუმცა მისი დებულებები ვრცელდება

---

[1] იხ: https://www.echr.coe.int/Documents/FS_Hate_speech_ENG.pdf

[2] ECRI-ის მონიტორინგის მე-5 ციკლის ანგარიშები, რომლებიც შეიცავს რეკომენდაციებს წევრი სახელმწიფოებისთვის, სიძულვილის ენასთან ბრძოლის კუთხით, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.coe.int/en/web/european-commission-against-racism-and-intolerance/country-monitoring
ინფორმაცია ევროპის საბჭოს საქმიანობაზე სიძულვილის ენასთან ბრძოლის კუთხით და შესაბამის სტანდარტებზე წარმოდგენილია ბმულზე: https://www.coe.int/en/web/no-hate-campaign/coe-work-on-hate-speech

სიძულვილის ენის სხვა ფორმებზეც, რომელთა საფუძველია „რასა“, კანის ფერი, ენა, რელიგია, ეროვნება, ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობა, გენდერული იდენტობა ან სექსუალური ორიენტაცია.

ჰოლისტიკური მიდგომა

სიძულვილის ენასთან ბრძოლის კომპლექსური მიდგომა უნდა ითვალისწინებდეს ადამიანის უფლებებს, როგორც ინტერნეტსივრცეში, ისე მის გარეთ, განსაკუთრებით, მოწყვლად ჯგუფებთან მიმართებით, რომლებიც ყველაზე ხშირად ხდებიან სიძულვილის ენის სამიზნეები. ეს მიდგომა ასევე ხელს უნდა უწყობდეს საზოგადოებრივ ერთიანობას და მკაფიოდ განსაზღვრავდეს სახელმწიფო ორგანოთა და სხვა ძირითად დაინტერესებულ მხარეთა პასუხისმგებლობებსა და როლს (მაგ: ადგილობრივი ორგანოები, პარლამენტი, სახალხო დამცველის ოფისი და თანასწორობის ორგანოები, ონლაინბიზნესი, მედია, საგანმანათლებლო სექტორი, არასამთავრობო ორგანიზაციები და ა.შ.).

ევროპის საბჭო თანამშრომლობს წევრ სახელმწიფოებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, რათა სიძულვილის ენის წინააღმდეგ მომზადდეს კომპლექსური და სისტემურ მიდგომაზე დაფუძნებული სტრატეგიები. ამ მიდგომის ფარგლებში, პირველი ნაბიჯია <u>სიძულვილის ენასთან ბრძოლის არსებული ეროვნული მექანიზმების სისტემური ანალიზი</u>, რომელშიც ასახულია სიძულვილის ენის გავლენა საზოგადოების წევრებზე, ასევე, მათთვის ხელმისაწვდომი დაცვის საშუალებები. ანალიზი მიმოიხილავს სამიზნე პირების ან მათი ჯგუფების ინტერაქციას შესაბამის დაწესებულებებთან, საჯარო ორგანოებსა და არასამთავრობო თუ კერძო სექტორთან, სიძულვილის ენაზე რეაგირების პროცესში. სისტემური ანალიზი არ შემოიფარგლება მხოლოდ სამართლებრივი დაცვის საშუალებებით - ის ასევე მოიცავს რეაგირების ყველა შესაძლო მექანიზმს, რომლებიც წარმოდგენილია ECRI-ის ზოგადი პოლიტიკის N15 რეკომენდაციაში (მაგ: თვითრეგულირების პროცედურები, საჯაროდ დაგმობა, მსხვერპლის მხარდაჭერა და საგანმანათლებლო ზომები). სისტემის დაყოფა კომპონენტებად და შესწავლა, თუ როგორ მუშაობენ და ურთიერთქმედებენ ეს ნაწილები საერთო მიზნის მისაღწევად, ეხმარება ხარვეზების, გამოწვევების, ახალი ინიციატივებისა და ინსტრუმენტების გამოვლენას.

სისტემური ანალიზის მიზნებია:

- წევრ სახელმწიფოში არსებული პოლიტიკის, სტრუქტურების, ინსტრუმენტებისა და ინიციატივების მიმოხილვისა და ანალიზის ხელშეწყობა, სიძულვილის ენასთან ბრძოლისა და მისი პრევენციისთვის;
- სიძულვილის ენაზე რეაგირებაში ჩართული სხვადასხვა საჯარო და კერძო აქტორის როლისა და ურთიერთქმედების გააზრება;
- შედეგების გაანალიზება და გამოწვევების იდენტიფიცირება, ასევე, მათთან გამკლავების სტრატეგიული გზების განსაზღვრა სიძულვილის ენასთან ბრძოლის პროცესში.

საქართველოში სიძულვილის ენაზე რეაგირების მექანიზმთა სისტემური რუკის შედგენა

ასეთი ანალიზის მიზანია სხვადასხვა უწყებისა და ორგანიზაციის წარმომადგენელთა ჩართვა კვლევის პროცესში, რომელიც მიემართება სიძულვილის ენის გამოყენების დაძლევასა და პრევენციას საზოგადოების ყველა დონეზე. კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება სისტემურ აზროვნებასა და დიზაინს. მისი მნიშვნელოვანი შედეგია სიძულვილის ენასთან ბრძოლის მექანიზმთა სისტემური რუკის შექმნა.

პროექტში მონაწილე კვლევითი ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ ადგილობრივი ექსპერტი, მარიამ ღავთაძე, და დიზაინის კომპანიის (Experientia) მკვლევარები.

სისტემური ანალიზი შედგებოდა შემდეგი ძირითადი ეტაპებისგან: ტრენინგი სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით, სამაგიდო კვლევა, ინტერვიუები ძირითად მხარეებთან და ორი შემაჯამებელი სამუშაო შეხვედრა. ამ ეტაპების ძირითადი მიზნები იყო:

- საქართველოში სიძულვილის ენის ფენომენის სიღრმისეული გააზრება, პრობლემისა და რეაგირების არსებული მექანიზმების (პოლიტიკა, სტრუქტურები, ინსტრუმენტები, ინიციატივები) გრაფიკულად წარმოდგენა;

- დაინტერესებული მხარეთა შეკრება, რათა მათ განეხილათ სხვადასხვა პერსპექტივა სიძულვილის ენის პრობლემასთან მიმართებით, ასევე, საკუთარი როლი და პოზიციები ასეთ ენასთან ბრძოლაში.

- არსებული გამოწვევებისა და სიძულვილის ენაზე რეაგირების ეროვნულ მექანიზმთა განმტკიცების გზების განხილვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად.

სამაგიდო კვლევის ეტაპზე, მკვლევარებმა გააანალიზეს შესაბამისი ეროვნული და საერთაშორისო დოკუმენტები, მათ შორის, ECRI-ის მონიტორინგის ანგარიშები, არასამთავრობო ორგანიზაციების დამოუკიდებელი კვლევები, ეროვნული ინსტიტუტების ანგარიშები, არსებული კანონმდებლობის მიმოხილვები და ა.შ. ამ ეტაპის მიზანი იყო საქართველოში არსებული კონტექსტისა და სიძულვილის ენის ფენომენის გააზრება.

სამაგიდო კვლევაზე დაყრდნობით, მომზადდა ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეთა ჩამონათვალი. კვლევის მიდგომის სპეციფიკური მახასიათებელი იყო ინკლუზიურობა და მონაწილეობითობა, რაც იძლეოდა ერთ პრობლემასთან მიმართებით სხვადასხვა პერსპექტივის წარდგენა-გათვალისწინების შესაძლებლობას.

კვლევის ნაწილი მიზნად ისახავს იმ მექანიზმთა გამოვლენას, რომლებიც ხელს უწყობს სიძულვილის ენის ფენომენის განვითარებას. ეს მექანიზმები დატანილია რუკაზე, რომელიც ასახავს კავშირს სიძულვილის ენის ფენომენთან დაკავშირებულ სხვადასხვა სფეროს შორისაც. რუკის შემუშავება დაეყრდნო სამაგიდო კვლევასა და ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან გამართულ 14 გასაუბრებას (რომლებიც ჩატარდა სამოქალაქო საზოგადოების 20 ორგანიზაციისა და 17 საჯარო დაწესებულების წარმომადგენელთან). მას დაერთო სხვადასხვა მხარის მონაწილეობით ჩატარებული სემინარებიდან/სამუშაო შეხვედრებიდან მიღებული უკუკავშირიც.

სამაგიდო კვლევის, გასაუბრებებისა და სემინარების/სამუშაო შეხვედრების მეშვეობით, განისაზღვრა ელემენტები საქართველოში სიძულვილის ენასთან ბრძოლის სამომავლო ინიციატივებისთვის და დადგინდა მათი პრიორიტეტულობა. დაინტერესებულმა მხარეებმა თავიანთი მოსაზრება წარმოადგინეს იმ ღონისძიებებზეც, რომლებიც სიძულვილის ენასთან საბრძოლველად უნდა განხორციელდეს.

საქართველოში სიძულვილის ენაზე რეაგირების მექანიზმები: სიტუაციური ანალიზი

საქართველოში არსებული სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩო ითვალისწინებს გარკვეულ დაცვით მექანიზმებს სიძულვილის ენის წინააღმდეგ და ადგენს მაღალ სტანდარტებს გამოხატვის თავისუფლების დასაცავად. სიძულვილის ენა კრიმინალიზებული არ არის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოწოდება ქმნის ძალადობის პირდაპირ და მყისიერ საფრთხეს. ქცევის კოდექსები და თვითრეგულირების მექანიზმები მოიცავს სიძულვილის ენის გამოყენებას საჯარო სამსახურსა და მედიაში. მიუხედავად ამისა, არსებული მექანიზმები ყოველთვის ეფექტიანი არ არის სიძულვილის ენის შემთხვევათა პრევენციისა და მათზე რეაგირებისთვის. ონლაინმედიის შემთხვევაში, თვითრეგულირების მექანიზმები საერთოდ არ არსებობს.

სიძულვილის ენა გვხვდება მედიასა და სოციალურ ქსელებში; მას ხშირად იყენებენ პოლიტიკოსები და საჯარო პირები, რასაც ხელს უწყობს არსებული სტერეოტიპები, დეზინფორმაცია და პოპულიზმი. სიძულვილის ენის სამიზნეები ხშირად არიან ლგბტი ადამიანები, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობები, მიგრანტები (განსაკუთრებით, აფრიკისა და აზიის ქვეყნებიდან) და ქალები. COVID-19-ის პანდემიამაც იქონია გავლენა მის გამოყენებასა და გავრცელებაზე. მაგალითად, ეთნიკური უმცირესობების, ძირითადად, ეთნიკური აზერბაიჯანელების წინააღმდეგ მიმართული სიძულვილის ენა განსაკუთრებით შემაშფოთებელი გახდა.[3] ასევე პრობლემური საკითხია ანტისემიტური განცხადებები, განსაკუთრებით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელთა მხრიდან.

ბოლო წლებში, საჯარო სივრცეში გამოჩდნენ აგრესიული და ძალადობრივი ჯგუფები, რომლებიც თავს ესხმიან უმცირესობათა წარმომადგენლებს. მათი ნაწილი დაკავშირებულია ექსტრემისტულ პოლიტიკურ მოძრაობებსა ან საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან. ამგვარი ჯგუფების უმრავლესობა უარყოფს თანასწორობისა და სეკულარული სახელმწიფოს პრინციპებს და საკუთარი ქმედებებით (მათ შორის ძალადობით ან ძალადობის მუქარით) ზღუდავს სხვების გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებებს.[4] სახალხო დამცველისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების თანახმად, სახელმწიფო ვერ ახერხებს ამ ჯგუფების ქმედებათა სათანადოდ გამოძიებას ან პრევენციას. ბოლო წლებში მათ პოლიტიკური პარტიების ფორმირებაც დაიწყეს, რის შედეგადაც ექსტრემისტული, ქსენოფობიური და ჰომოფობიური რიტორიკა მათი პოლიტიკური დღის წესრიგის ნაწილი გახდა.

2021 წლის 5 ივლისს ასეთი ექსტრემისტული ჯგუფები და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია გაერთიანდნენ „თბილისი პრაიდის“ წინააღმდეგ. ორგანიზატორთა მხრიდან

---

[3] რწმენისა და რელიგიის თავისუფლება საქართველოში პანდემიის პირობებში და მის მიღმა, 2021: http://tdi.ge/sites/default/files/forb_in_georgia_amid_and_beyond_pandemic_geo.pdf

[4] დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, „ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმისა და ნაციონალიზმის გააზრება და მის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში“, 2020: http://www.democracyresearch.org/files/46dri%20report%20far%20right%20geo.pdf

პრაიდის კვირეულის დაანონსების შემდეგ, ექსტრემისტულმა ჯგუფებმა დაიწყეს ღონისძიების საწინააღმდეგო ჰომოფობიური და მანიპულაციური ინფორმაციის გავრცელება და მოწოდებები. მათი მტკიცებით, პრაიდი ტარდება „დასავლეთის“ დაკვეთით და მიზნად ისახავს ბრძოლას ქართული იდენტობის, ღირებულებებისა და მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ.[5] ოფიციალურ განცხადებაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქომ განაცხადა, რომ დაგეგმილი პრაიდით „ხდება არატრადიციული ცხოვრების წესის პროპაგანდა, ის შეიცავს პროვოცირების ნიშნებს, კონფლიქტში შედის საზოგადოებაში აღიარებულ ზნეობრივ ნორმებთან და მიზნად ისახავს მძიმე ცოდვის ლეგალიზებას“.[6] შემდგომ ოფიციალურ განცხადებაში საპატრიარქომ საკუთარ წევრებს მოუწოდა, რომ სალოცავად შეკრებილიყვნენ იქ, სადაც ღირსების მარში უნდა გამართულიყო, რათა მსოფლიოსთვის ეჩვენებინათ, რომ ისინი იცავდნენ საკუთარ ღირსებას და „გადაგვარების თავსმოხვეული მცდელობა“ მათთვის მიუღებელი იყო.[7] შედეგად, 5 ივლისს ექსტრემისტებმა დაიკავეს ქუჩები, თავს დაესხნენ და ფიზიკურად გაუსწორდნენ 53 ჟურნალისტს, დაარბიეს „თბილისი პრაიდისა“ და სხვა სამოქალაქო ორგანიზაციების ოფისები, ორჯერ პარლამენტის შენობის წინ გამიზნულად ჩამოხიეს და დაწვეს ევროკავშირის დროშა. ჰომოფობიური და ანტიდასავლური ძალადობრივი აქციის მონაწილეები, მედიისა და სოციალური ქსელების საშუალებით, აქტიურად იყენებდნენ სიძულვილის ენას და პირდაპირ მოუწოდებდნენ ძალადობისკენ.[8] სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის თანახმად[9], მთავრობამ არ გადადგა ნაბიჯები ძალადობრივი მოწოდებების წინააღმდეგ, არ დაგმო სიძულვილის ენა და არ აირიდა აღნიშნული ძალადობა; არც უშუალოდ ძალადობრივ მოვლენათა განვითარებისას მიუღია სათანადო ზომები სამიზნე პირთა დასაცავად, სიტუაციის განსამუხტავად და დამნაშავეთა დასასჯელად.

მედიაში სიძულვილის ენის გამოყენებაზე ანგარიშის თანახმად, 2019 წელს სიძულვილის ენის შემცველ განცხადებათა უდიდესი ნაწილი – 63.3% (1,214) იყო ჰომოფობიური; მას მოსდევს: ქსენოფობიური კომენტარები (28.1% – 538); სხვადასხვა ნიშნით სიძულვილის წამახალისებელი გზავნილები - 4.4% (84); განცხადებები, რომლებიც შეეხება დისკრიმინაციას რელიგიის ნიშნით - 4% (76); და რასისტული გამონათქვამები - 0.2% (6). სიძულვილის შემცველი ყველაზე მეტი კომენტარი გააკეთეს მედიის წარმომადგენლებმა, ასევე, პოლიტიკოსებმა და საზოგადოების სხვა წევრებმა.[10]

---

[5] სიძულვილის ენა, მუქარა და დეზინფორმაციული გზავნილები „ღირსების მარშის“ წინ: https://isfed.ge/geo/blogi/sidzulvilis-ena-muqara-da-dezinformatsiuli-gzavnilebi-ghirsebis-marshis-tsin?fbclid=IwAR0BzE2HdwJ8wDx3u-bWfbB2Fx4SJMLn1OQc8n3zicr5Q8lvo6RmIwVsk-E

[6] საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს 2021 წლის 29 ივნისის განცხადება: https://patriarchate.ge/news/2773?fbclid=IwAR2IL1F7IcHqultEqNrnZmQU1IO89d1eL3YucoPzPHEfHIvoN39jUBnf7Rk

[7] საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს 2021 წლის 3 ივლისის განცხადება: https://patriarchate.ge/news/2776

[8] „მარში ღირსების გარეშე“, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 2021: https://gdi.ge/uploads/other/1/1384.pdf

[9] სახალხო დამცველის განცხადება 5-6 ივლისის მოვლენების ორგანიზატორთა ქმედებების გამოძიებაზე.

[10] მედიის განვითარების ფონდი, სიძულვილის ენა - 2019: http://www.mdfgeorgia.ge/geo/view-library/183

ფართო საზოგადოებაში დისკრიმინაცია ხშირად მიმართულია ლგბტი პირთა, მიგრანტთა და რელიგიურ თუ ეთნიკურ უმცირესობათა წინააღმდეგ. სახალხო დამცველის თანახმად, 2020 წელს შეტანილ საჩივრებში განმცხადებლები უმეტესად მიუთითებდნენ სქესის/გენდერის ნიშნით დისკრიმინაციაზე (16%), რასაც მოსდევს დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე (14%) და რელიგიის ნიშნით (14%). ეროვნების საფუძველზე დისკრიმინაციას შეეხებოდა განცხადებათა 7%, ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციას - 4%, შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციას კი - 3%.[11]

დისკრიმინაციას სხვადასხვა ფორმა აქვს (მაგ: სიძულვილის ენა, შევიწროება, დემონსტრაციები, სხვადასხვა ჯგუფისთვის საჯარო სივრცის შეზღუდვა და, ზოგ შემთხვევაში, ძალადობა). ხშირად დისკრიმინაციისა და სიძულვილის არგუმენტად იყენებენ ქართული მართლმადიდებლობის, იდენტობის, ტრადიციებისა და ღირებულებების დაცვას.

ანტიდისკრიმინაციული საკანონმდებლო ჩარჩო

საქართველოს კონსტიტუცია ქვეყნის უზენაესი კანონი და ფუნდამენტურ უფლებათა დაცვის უმაღლესი სამართლებრივი ინსტრუმენტია. იგი უზრუნველყოფს კანონის წინაშე თანასწორობას. მე-11 მუხლის თანახმად, „აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით“. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თანახმად, დისკრიმინაცია დაუშვებელია ისეთი ნიშნითაც, რომელიც შესაძლოა კონსტიტუციაში არ იყოს აღნიშნული.

2014 წელს ქვეყანამ მიიღო კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (ანტიდისკრიმინაციული კანონი), რომელიც ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისთვის უზრუნველყოფს „კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობას, რასის კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად“. 2019 წელს კანონს დისკრიმინაციის ფორმების სახით დაემატა „შევიწროება“ და „სექსუალური შევიწროება“.

ანტიდისკრიმინაციული კანონი ითვალისწინებს გამონაკლისს: კანონი ადამიანს იცავს უთანასწორო მოპყრობისა ან პირობებისგან, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და

[11] სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციასთან ბრძოლისა და პრევენციის და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ (2020).

აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

საქართველოს სახალხო დამცველი სპეციალიზებული ორგანოა, რომლის ფუნქციებშიც შედის ანტიდისკრიმინაციული კანონის დანერგვა. სახალხო დამცველის ოფისში შექმნილი სპეციალური თანასწორობის დეპარტამენტი დისკრიმინაციის შემთხვევებს სწავლობს როგორც განცხადების/საჩივრის საფუძველზე, ისე საკუთარი ინიციატივით. მანდატის თანახმად, დისკრიმინაციის დადგენის შემთხვევაში, სახალხო დამცველი უფლებამოსილია, შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტების/ორგანოების ან ფიზიკური პირების მიმართ გამოსცეს რეკომენდაციები. საჯარო და კერძო დაწესებულებები ვალდებულნი არიან, სახალხო დამცველს ყველა საჭირო ინფორმაცია მიაწოდონ საქმის შესწავლის პროცესში. რეკომენდაციებს არ აქვს სავალდებულო ძალა, თუმცა სახალხო დამცველი უფლებამოსილია, მიმართოს სასამართლოს, თუ კერძო ან საჯარო დაწესებულება არ ასრულებს ან არ ითვალისწინებს მის რეკომენდაციას და არსებობს დისკრიმინაციის საკმარისი მტკიცებულება. ამასთან, ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს, სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დაწესებულების წინააღმდეგ, რომელიც მას დისკრიმინაციულად ეპყრობა, და მოითხოვოს მსგავსი ქმედების შეწყვეტა ან/და შედეგების აღმოფხვრა და/ან მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება. თუ სავარაუდო დისკრიმინაციის ამავე ფაქტის გამო დავას სასამართლო განიხილავს და პირს განცხადება/საჩივარი შეტანილი აქვს სახალხო დამცველის აპარატშიც, ეს უკანასკნელი აჩერებს საქმისწარმოებას.

მართალია, ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა არ არეგულირებს სიძულვილის ენას, თუმცა იგი კრძალავს დისკრიმინაციის წახალისებას. შესაბამისად, ამ ნორმაზე დაყრდნობით, სახალხო დამცველი შეისწავლის სიძულვილის ენის გამოყენების გარკვეულ შემთხვევებს, განსაკუთრებით, საჯარო პირების ან მედიასაშუალებების მხრიდან, და სიძულვილის ენის ავტორს ზოგადი წინადადებით მიმართავს, რომ აღმოფხვრას და თავიდან აირიდოს დისკრიმინაციული პრაქტიკა.

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება

კონსტიტუცია იცავს აზრისა და ინფორმაციის მიღება-გავრცელების თავისუფლებას, მათ შორის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და ინტერნეტის მეშვეობით. „ამ უფლებათა შეზღუდვა დაშვებულია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად“.

კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „სახელმწიფო ცნობს და იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ფასეულობებს“. ყველას, ადმინისტრაციული ორგანოს გარდა, აქვს

გამოხატვის თავისუფლება, რაც გულისხმობს: აზრის აბსოლუტურ თავისუფლებას; პოლიტიკური სიტყვისა და დებატების თავისუფლებას; ნებისმიერი ფორმის ინფორმაციისა და იდეების მოძიების და გავრცელების უფლებას; ცენზურის დაუშვებლობას, მედიის სარედაქციო დამოუკიდებლობასა და პლურალიზმს და ა.შ. კანონი ადგენს კრიტერიუმებს ამ უფლების შეზღუდვასთან მიმართებითაც, ასევე, განმარტავს ცილისწამებას („არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება“) და აწესებს სამოქალაქო პასუხისმგებლობას ცილისწამებისთვის.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა თანახმად, რომლებიც მონაწილეობდნენ სისტემური ანალიზის პროცესში, სახელმწიფომ რამდენჯერმე სცადა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა გონივრული გამართლების გარეშე. მაგალითად, 2015 წელს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას მოუწოდა, თავი შეეკავებინათ მოსამართლეებისა და მართლმსაჯულების სისტემის კრიტიკისგან; შემუშავდა რამდენიმე საკანონმდებლო ინიციატივაც, რომლებიც ითვალისწინებდა ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას „რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის“ გამო. 2019 წელს საქართველოს პრეზიდენტმა და სხვა სახელმწიფო მოხელეებმა განაცხადეს, რომ საჭიროა ცილისწამების მარეგულირებელი ნორმების გამკაცრება.[12] არასამთავრობო და მედიაორგანიზაციები ხაზს უსვამენ იმ მცდელობებსა და საფრთხეებსაც, რომლებიც უკავშირდება კრიტიკულ მედიასაშუალებებზე ცენზურის დაწესებას საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ.

სიძულვილის ენის განმარტების არარსებობა

საქართველოს კანონმდებლობა არ შეიცავს სიძულვილის ენის განმარტებას. მას არ ითვალისწინებს ქცევის კოდექსებიც, რომლებიც არეგულირებს სიძულვილის ენის გამოყენებას მედიის, საჯარო მოხელეებისა და პარლამენტის წევრების მიერ. შესაბამისად, ბუნდოვანია, თუ როგორ განსაზღვრავენ ამ კოდექსების შესრულების მარეგულირებელი მექანიზმები სიძულვილის ენას კონკრეტულ შემთხვევებზე რეაგირებისას. სისტემურ ანალიზში მონაწილე მხარეებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა სიძულვილის ენის განმარტების მიღება. ამავდროულად, ისინი ხაზს უსვამენ, რომ პროცესი უნდა იყოს გამჭვირვალე და მოიცავდეს ყველა შესაბამის დაინტერესებულ მხარეს, რათა თავიდან აიცილონ კანონმდებლობის ბოროტად გამოყენება და არასწორი ინტერპრეტაცია, ასევე, საფრთხე არ შეექმნას გამოხატვის თავისუფლებას.

სისხლის სამართლის კოდექსი და საგამოძიებო მექანიზმები

---

[12] *რა საფრთხე ემუქრება გამოხატვის თავისუფლებას საქართველოში*, 2019, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI).

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით სიძულვილის ენა კრიმინალიზებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ქმნის ძალადობის მკაფიო, პირდაპირ და არსებით საფრთხეს. 2015 წელს კოდექსში შევიდა 239[1] მუხლი, რომელიც ადგენს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას „ძალადობრივი ქმედების საჯაროდ მოწოდებისთვის, რასობრივი, რელიგიური, ეროვნული, კუთხური, ეთნიკური, სოციალური, პოლიტიკური, ენობრივი ან/და სხვა ნიშნის მქონე პირთა ჯგუფებს შორის განხეთქილების ჩამოსაგდებად“.

სამოქალაქო ორგანიზაციების, ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროსა (შსს) და საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლები, ხაზგასმით აღნიშნავენ (მათ შორის, სისტემური ანალიზის პროცესში), რომ სიძულვილის ენა არ უნდა იყოს კრიმინალიზებული. ნაცვლად ამისა, უფრო ეფექტიანად უნდა აღსრულდეს არსებული რეგულაციები, რომლებიც მიემართება საჯარო მოწოდებას დისკრიმინაციული მოტივით ძალადობისკენ. არასამთავრობო ორგანიზაციები აცხადებენ, რომ პრაქტიკაში სახელმწიფო ფაქტობრივად არ იყენებს 239[1] მუხლს, მათ შორის, არც მაშინ, როცა ექსტრემისტული და ჰომოფობიური ჯგუფები საჯაროდ და პირდაპირ მოუწოდებენ ძალადობას. შსს-ისა და პროკურატურის წარმომადგენლები ადასტურებენ, რომ ამ მუხლის საფუძველზე გამოძიება და სამართლებრივი დევნა მხოლოდ რამდენიმე საქმეზე განხორციელდა.

სისხლის სამართლის კოდექსი არეგულირებს შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულს. დანაშაულის ჩადენა დისკრიმინაციის შემცველი რაიმე ნიშნით შეუწყნარებლობის საფუძველზე არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა დანაშაულისთვის (მუხლი 53[1]). კოდექსით ასევე კრიმინალიზებულია ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა (მუხლი 142), რასობრივი დისკრიმინაცია (მუხლი 142[1]), შშმ პირის უფლებების დარღვევა (მუხლი 142[2]), რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა (მუხლი 155), რელიგიის ან რწმენის გამო დევნა (მუხლი 156).

2018 წელს შსს-მ შექმნა ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე დროული რეაგირებისა და მათი ეფექტიანი გამოძიებისათვის. დეპარტამენტის პასუხისმგებლობაში შედის გამოძიების პროცესში არსებული ხარვეზების გამოვლენა და რეკომენდაციების მომზადება მათი დროულად გამოსწორებისათვის. დეპარტამენტის მანდატი შემოიფარგლება მხოლოდ გამოძიებებზე მონიტორინგითა და რეკომენდაციების მომზადებით. მას საგამოძიებო ფუნქციები არ აქვს. თუმცა, შინაგან საქმეთა სამინისტრო გამომძიებლებს აქტიურად უტარებს ტრენინგებს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე. ევროპულმა კომისიამ რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI) საქართველოს შესახებ 2016 წლის ანგარიშში სახელმწიფოს მოუწოდა, შეექმნა სპეციალური განყოფილება რასისტული, ჰომოფობიური და ტრანსფობიური ნიშნით ჩადენილ დანაშაულთა გამოსაძიებლად. ვინაიდან ახალშექმნილ დეპარტამენტს ასეთი მანდატი არ აქვს, ECRI მიიჩნევს, რომ მისი რეკომენდაცია

მხოლოდ ნაწილობრივ შესრულდა.[13] პროკურატურა ზედამხედველობას უწევს გამოძიებას და ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას.

არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის თანახმად, საგამოძიებო ორგანოები ხშირად უგულებელყოფენ სიძულვილის მოტივს და არაერთი საქმე კვალიფიცირდება, როგორც ჩვეულებრივი დანაშაული. საპირისპიროდ, ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი აღნიშნავს, რომ ის მუდმივად ამოწმებს ყველა დაწყებულ გამოძიებას და აფასებს, იკვეთება თუ არა საქმეში სიძულვილის მოტივი. სამინისტროს თანახმად, გამოძიება იწყება შეტყობინების მიღებისთანავე, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, არ შეიცავს ინფორმაციას სიძულვილის მოტივზე. შესაბამისად, მოტივს გამომძიებელი გამოკვეთს უშუალოდ გამოძიების პროცესში. მხარეები აღნიშნავენ, რომ ბოლო წლებში გაუმჯობესდა რელიგიური შეუწყნარებლობის საფუძველზე ჩადენილ დანაშაულთა გამოძიების ხარისხი და საქმეები სულ უფრო ხშირად კვალიფიცირდება სწორი მუხლებით. თუმცა, სხვა საქმეთა მსგავსად, აქაც პრობლემად რჩება პროკურატურის მიერ პირთა დაზარალებულად ან ბრალდებულად ცნობა და საქმის გონივრულ ვადებში დასრულება. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამოც, რომ სისხლის სამართლის კოდექსისგან განსხვავებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი სიძულვილის მოტივს დამამძიმებელ გარემოებად არ ითვალისწინებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის.

ამავდროულად, 2019-2020 წლებში შსს-მ მოამზადა საკანონმდებლო პაკეტი. მისი მიზანია, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული კოდექსები შეუსაბამოს ECRI-ის რეკომენდაციებს, ასევე, სამართალდამცველ ორგანოებს დაეხმაროს იმ გამოწვევებზე რეაგირებაში, რომლებსაც აწყდებიან სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიებისას. კერძოდ, საკანონმდებლო პაკეტი ითვალისწინებს სიძულვილის მოტივის შეტანას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში და აუმჯობესებს სისხლის სამართლის კოდექსში არსებულ განმარტებებს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ. მიუხედავად ამისა, 2021 წლის აგვისტოს მდგომარეობით, შსს-ს კანონპროექტი პარლამენტისათვის არ წარუდგენია.

მედია

მაუწყებლობის შესახებ კანონი პირდაპირ არ არეგულირებს სიძულვილის ენას, თუმცა იგი კრძალავს პროგრამებს, „რომლებიც მიმართულია პირის ან ჯგუფის ფიზიკური შესაძლებლობის, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის, მსოფლმხედველობის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის ან სხვა თვისებისა თუ სტატუსის გამო შეურაცხყოფისაკენ, დისკრიმინაციისაკენ ან ამ თვისებისა თუ სტატუსის განსაკუთრებული ხაზგასმისაკენ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე და

[13] ECRI-ის დასკვნები საქართველოსთვის გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ (2019).

მიზნად ისახავს არსებული შუღლის ილუსტრირებას“ (მუხლი 56.3). კანონი ვრცელდება ტელევიზიასა და რადიოზე და არ ეხება ბეჭდურ ან ონლაინმედიას.

სამაუწყებლო სფეროში მარეგულირებელი ორგანოა სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია. მის მანდატში შედის: წინადადებების მომზადება სახელმწიფო პოლიტიკაზე მაუწყებლობის სფეროში, შესაბამისი სამართლებრივი აქტების მიღება, სამაუწყებლო ავტორიზაციის მინიჭება, ზედამხედველობა სალიცენზიო პირობების შესრულებაზე და ა.შ. კომისიას უფლება არ აქვს, ჩაერიოს მაუწყებელთა სარედაქციო პოლიტიკასა და შინაარსში. ერთადერთი გამონაკლისია კონტროლი მათ მიერ ასაკობრივი ნიშანდების წესების დაცვაზე, რათა თავიდან აიცილოს მავნე ზეგავლენა არასრულწლოვნებზე. გარდა ამისა, მაუწყებლობის შესახებ კანონის 56(4) მუხლის საფუძველზე (იგი კრძალავს იმგვარ მაუწყებლობას, რომელიც ლახავს „ადამიანისა და მოქალაქის ღირსებას და ძირითად უფლებებს“), კომუნიკაციების კომისიამ დაიწყო „უხამსი“ შინაარსის კონტროლიც. მედია და არასამთავრობო ორგანიზაციები ამას კანონის ბოროტად გამოყენებად და არასწორ განმარტებად მიიჩნევენ, რომელიც მიზნად ისახავს თავისუფალი მედიის კონტროლსა და ცენზურას.[14]

მედიაში დისკრიმინაციულ შინაარსს თვითრეგულირების მექანიზმი აწესრიგებს. მაუწყებლობის შესახებ კანონის თანახმად, ყველა მაუწყებელი ვალდებულია, ჰქონდეს თვითრეგულირების მექანიზმები. კომისიის მიერ მიღებული მაუწყებელთა ქცევის კოდექსი საქართველოში მოქმედ ყველა მაუწყებელზე ვრცელდება. კოდექსის მიზანია, ყველა, განსაკუთრებით კი საზოგადოებრივი მაუწყებელი, თანაბარი პასუხისმგებლობით მოეკიდოს პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვასა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებას. ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ზნეობისა და ადამიანური ღირებულებების დასაცავად, ასევე, საზოგადოებრივი თანხმობისა და ტოლერანტობის განსამტკიცებლად. კოდექსის თანახმად, მაუწყებელს უფლება აქვს, აირჩიოს თვითრეგულირების ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს დროულ და დასაბუთებულ რეაგირებას საჩივრებზე. თვითრეგულირების მექანიზმს უნდა ჰქონდეს სააპელაციო ორგანო, რომელიც დაკომპლექტდება დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და კომპეტენტური პირებით. სააპელაციო ორგანოს წევრები არ შეიძლება იყვნენ საჯარო მოხელეები ან პოლიტიკური პარტიის წევრები, ასევე, მათ არ უნდა ჰქონდეთ მიღებული მონაწილეობა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებაში. მაუწყებლებმა საჩივრები უნდა განიხილონ გამჭვირვალედ, ეფექტიანად, ყველა დაინტერესებული პირის მონაწილეობით და გონივრულ ვადაში. დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, მოითხოვოს არაზუსტი ინფორმაციის შესწორება ან ფაქტის უარყოფა იმავე საშუალებებით, ფორმითა და ხანგრძლივობით, რომლითაც გავრცელდა საწყისი განცხადება.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც უკავშირდება მედიის ეფექტიან თვითრეგულირებას, არის „დაინტერესებული პირის“ (ე.ი. პირის, რომელსაც უფლება აქვს, საჩივრით მიმართოს მაუწყებლის თვითრეგულირების მექანიზმს) ვიწრო და განსხვავებული

[14] კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის: კომუნიკაციების კომისია პროგრამის შინაარსის განხილვით კანონს არღვევს, 2021: https://gdi.ge/ge/news/koalicia-mediis-advokatirebisatvis-28-01-2021.page

განმარტება. მაუწყებლობის შესახებ კანონის თანახმად, დაინტერესებული პირი არის „ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს მაუწყებლის საქმიანობა“. მაუწყებელთა ქცევის კოდექსის თანახმად კი „დაინტერესებული მხარე არის ნებისმიერი პირი, რომელსაც ეხება ან რომელიც ნახსენებია პროგრამაში ან მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს გადაწყვეტილებაში“. ასეთი განმარტების გამო, არასამთავრობო ორგანიზაციებს ან სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლებს არ აქვთ უფლება, საჩივრით მიმართონ მაუწყებლებს, როგორც მესამე პირებმა.

ქვეყნის მონიტორინგის ანგარიშში ECRI-მ ხაზგასმით აღნიშნა ისიც, რომ „თვითრეგულირებადი მექანიზმების ეფექტიანობას ასევე ხელს უშლის ფაქტი, რომ საჩივრის შეტანა მხოლოდ დაზარალებულ პირებს შეუძლიათ და არა, მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციებს.“[15]

სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის ყურადღების საგანია მედიის დამოუკიდებლობის დაცვა და სახელმწიფოს მხრიდან თვითნებური ჩარევისა და ცენზურის პრევენცია. სისტემურ ანალიზში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ სახელმწიფო მუდმივად ცდილობს მედიაზე (განსაკუთრებით, კრიტიკულად, ოპოზიციურად ან დამოუკიდებლად მიჩნეულ მედიასაშუალებებზე) ცენზურის დაწესებას ისეთი გზებით, როგორიცაა კანონის არასწორი ინტერპრეტაცია, ასევე, ახალი საკანონმდებლო ინიციატივების ან, უბრალოდ, დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც ზღუდავს მედიის თავისუფლებას. ამ მიზეზების გამო, არასამთავრობო ორგანიზაციები და მედია ერთხმად უსვამენ ხაზს, რომ მედიის რეგულირების მექანიზმი უნდა დარჩეს თვითრეგულირების სფეროში. ამასთან, ისინი ადასტურებენ, რომ მედიის თვითრეგულირების მექანიზმთა ეფექტიანობას ბევრი პრობლემა აფერხებს, რომლებიც, მათი აზრით, მოგვარებას საჭიროებს.

საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისიას განსხვავებული მოსაზრება აქვს: იგი მიიჩნევს, რომ მედიაში სიძულვილის ენაზე ეფექტიანი მონიტორინგისა და რეაგირებისთვის, კომისია ან საერთო სასამართლო უნდა გახდეს სააპელაციო ორგანო, რომელსაც შესაბამისი საჩივრები წარედგინება. ამგვარად, კომისიამ მოამზადა და 2018 წელს პარლამენტს წარუდგინა საკანონმდებლო ინიციატივა, რომელზეც პარლამენტს ჯერ არ მოუხდენია რეაგირება. ინიციატივა მკაცრად გააკრიტიკეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა და მედიასაშუალებებმა: იგი შეფასდა, როგორც მთავრობის მორიგი მცდელობა მედიაზე ცენზურის დასაწესებლად და მის სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩასარევად. სისტემური ანალიზის პროცესში მონაწილე მედიაორგანიზაციები და არასამთავრობო ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ კომისიას არ აქვს სარედაქციო შინაარსში ჩარევის მანდატი, თუმცა აღნიშნული კანონმდებლობა მას მედიაკონტენტის კონტროლის შესაძლებლობას მისცემს. კომისიის გარკვეული გადაწყვეტილებები მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა უკვე შეაფასეს მედიის დამოუკიდებლობის შეზღუდვის მცდელობად; ვენეციის კომისიამ კი საკუთარ დასკვნაში აღნიშნა, რომ ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონში შეტანილი

[15] ECRI-ის ანგარიში საქართველოს შესახებ (2016), პარ. 41: https://www.coe.int/en/web/european-commission-against-racism-and-intolerance/georgia

ცვლილებები, რომლითაც კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას მიენიჭა სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციებში სპეციალური მმართველის დანიშვნის უფლებამოსილება, „დიდ გავლენას იქონიებს საკუთრების უფლებაზე, მედიის თავისუფლებაზე და სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე“.[16] კომუნიკაციების ეროვნული კომისია მიუთითებს ევროპული დირექტივიდან გამომდინარე ვალდებულებებსა და ევროპელ ექსპერტთა დასკვნებზე.[17] ამ ექსპერტთა აზრით, სიძულვილის ენასთან მიმართებით უნდა არსებობდეს ეფექტიანი აღსრულების მექანიზმები, რომლებიც იქნება სახელმწიფო უწყების ხელში. საპირისპიროდ, არასამთავრობო ორგანიზაციები აღნიშნავენ, რომ ევროპული დირექტივა სახელმწიფოებს უტოვებს შესაძლებლობას, არჩევანი გააკეთონ თვითრეგულირებისა და თანარეგულირების მექანიზმებს შორის.[18]

საქართველოში მოქმედი კიდევ ერთი თვითრეგულირების მექანიზმია ჟურნალისტური ეთიკის ქარტია - ჟურნალისტთა დამოუკიდებელი და წევრობაზე დაფუძნებული გაერთიანება, რომლის მიზანია მედიის სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება პროფესიული და ეთიკური სტანდარტების დაცვით. ქარტია განიხილავს საჩივრებს ჟურნალისტების წინააღმდეგ და ლობირებს ჟურნალისტთა უფლებების დაცვას. მასში გაწევრიანება ნებაყოფლობითია. მაუწყებელთა თვითრეგულირების მექანიზმებისგან განსხვავებით, ქარტიაში საჩივრის შეტანა შეუძლია ნებისმიერ პირს. ამ დროისათვის მას ხელს აწერს 360 ჟურნალისტი.

საქართველოს კანონმდებლობა ბეჭდურ და ონლაინმედიას არ ავალდებულებს ქცევის კოდექსების მიღებას და თვითრეგულირების მექანიზმების შექმნას. ამრიგად, ამ მედიაპლატფორმების ანგარიშვალდებულება მთლიანად დამოკიდებულია შიდა ეთიკურ სტანდარტებსა და კეთილ ნებაზე.

საჯარო მოხელეები და სახელმწიფო ინსტიტუტები

საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონი განსაზღვრავს პრინციპებს, რომლებიც საჯარო მოხელეებმა უნდა გაითვალისწინონ თავიანთი მოვალეობების შესრულებისას. კანონი ადგენს საჯარო მოხელის ერთგულების პრინციპს, რომლის თანახმადაც „საჯარო მოსამსახურე ვალდებულია, თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილება საჯარო სამსახურის პრინციპებისა და საჯარო ინტერესების დაცვის საფუძველზე განახორციელოს.“ კანონი ადგენს საჯარო მოხელეზე დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლებსა და პროცედურებს.

---

[16] ევროპის კომისია დემოკრატიისთვის კანონის გზით, მოსაზრება ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ და მაუწყებლობის შესახებ კანონებში ცვლილებების შესახებ (2021), პარ. 70. https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2021)011-e

[17] ექსპერტები მუშაობდნენ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ განხორციელებული პროექტების ფარგლებში, რომლებიც დაფინანსებული იყო EBRD-ისა და ევროკომისიის მიერ.

[18] საერთაშორისო გამჭვირვალობა: GNCC-მა არ უნდა დაარეგულიროს სიძულვილის ენის საკითხი (2019): https://transparency.ge/ge/post/gncc-m-ar-unda-daareguliros-sizulvilis-enis-sakitxebi

საქართველოს მთავრობამ 2017 წელს მიიღო დადგენილება „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ (დადგენილება no 200), რომელიც მიზნად ისახავს საჯარო დაწესებულებებში ეთიკური გარემოს შექმნას და საჯარო მოსამსახურის პროფესიული სტანდარტების დამკვიდრებას. დადგენილების თანახმად, საჯარო მოსამსახურის მიერ სიძულვილის ენის საჯაროდ გამოყენება ან/და დისკრიმინაციული კომენტარის გაკეთება შეუთავსებელია ეთიკისა და ქცევის ზოგად წესებთან.

პარლამენტართა მიერ სიძულვილის ენის გამოყენების საკითხებს არეგულირებს პარლამენტის წევრის ქცევის კოდექსი, მიღებული 2019 წელს. ეთიკის საბჭო ეთიკის კოდექსის სავარაუდო დარღვევებს განიხილავს როგორც საკუთარი ინიციატივით, ისე საჩივრებზე დაყრდნობით. კოდექსის თანახმად, პარლამენტარებს ეკრძალებათ ღირსების შემლახველი, უხამსი, სექსისტური და დისკრიმინაციული გამოსვლა, მიმართვა ან მოქმედება, ასევე, სიძულვილის ენის სხვაგვარი გამოყენება. ამ პრინციპის დარღვევაზე რეაგირების ერთადერთი საშუალებაა დეპუტატის სახელისა და გვარის გამოქვეყნება პარლამენტის ვებგვერდზე, შემთხვევის მოკლე აღწერილობასთან ერთად. თვითრეგულირების მექანიზმის შექმნის შემდეგ, სხვადასხვა მიზეზის გამო, პარლამენტმა ვერ შეძლო ეთიკის საბჭოს დაკომპლექტება. შესაბამისად, საბჭოს სიძულვილის ენის გამოყენების არცერთი შემთხვევა არ განუხილავს.

სიძულვილის ენის განმარტებას არ შეიცავს არც პარლამენტის წევრთა და არც საჯარო მოხელეთა ქცევის კოდექსები. შესაბამისად, ბუნდოვანია, თუ როგორ რეაგირებენ ეს დაწესებულებები სიძულვილის ენის შემთხვევებზე და როგორ განმარტავენ მას საჩივრის განხილვის პროცესში.[19]

სისტემურ ანალიზში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციების თანახმად, საჯარო მოხელეთა მიერ სიძულვილის ენის გამოყენება საკმაოდ პრობლემური საკითხია და ხშირად აღინიშნება. ამასთან, პოლიტიკოსები იშვიათად აკეთებენ საჯარო განცხადებებს, რომლებიც გმობს სიძულვილის ენას და მხარს უჭერს თანასწორობას და დისკრიმინაციის აკრძალვას. მედიის განვითარების ფონდმა (არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც მონიტორინგს უწევს სიძულვილის ენას) 2019 წელს 1918 დისკრიმინაციული განცხადება გამოავლინა, საიდანაც 402-ის ავტორები იყვნენ პოლიტიკოსები. ამ განცხადებათა უმრავლესობას ჰქონდა ჰომოფობიური და ქსენოფობიური შინაარსი.[20]

როგორც არასამთავრობო, ისე სახელმწიფო სექტორის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ საჭიროა საჯარო მოხელეთა ცნობიერების მუდმივი ამაღლება თანასწორობის,

---

[19] პარლამენტის ეთიკის საბჭოს თხოვნის საფუძველზე, ევროპის საბჭომ და ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (NDI) მოამზადეს საქართველოს პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსის სახელმძღვანელო დოკუმენტი. დოკუმენტში წარმოდგენილია კომენტარები ეთიკის წესებზე, ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად. ამასთან, დოკუმენტში, სხვა საკითხებთან ერთად, განხილულია დისკრიმინაციისა და სიძულვილის ენის საკითხები. ევროპის საბჭოს პროექტმა „დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში“ წამყვანი როლი შეასრულა სიძულვილის ენასა და დისკრიმინაციასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო დოკუმენტის მომზადებაში.

[20] მედიის განვითარების ფონდი, სიძულვილის ენა - 2019.

დისკრიმინაციის აკრძალვისა და ტოლერანტობის პრინციპებზე, ასევე, მრავალფეროვნების ღირებულებებზე.

არასამთავრობო ორგანიზაციები უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ სახელმწიფო ორგანოები ინფორმაციის გასავრცელებლად სახელმწიფოს ბიუჯეტიდან დაფინანსებულ კონტრაქტებს კვლავ სთავაზობენ იმ მედიასაშუალებებს, რომლებიც გამოირჩევიან სიძულვილის ენისა და დეზინფორმაციის გავრცელებით. 2016 წელს, ECRI-მ საქართველოს მთავრობას მიმართა რეკომენდაციით, რომ გადახედოს მედიასაშუალებებთან დადებულ კონტრაქტებს და შეწყვიტოს ან არ გააგრძელოს ისინი იმ მედიასაშუალებასთან, რომელიც ცნობილია რასისტული ან ჰომოფობიური/ტრანსფობიური სიძულვილის ენის გამოყენებით. ხელისუფლების წარმომადგენლებმა სამომავლო კონტრაქტებში უნდა შეიტანონ დებულება, რომლის თანახმადაც რასისტული ან ჰომოფობიური/ტრანსფობიური სიძულვილის ენის გამოყენება გამოიწვევს კონტრაქტის შეწყვეტას (პუნქტი 33). მიუხედავად ამისა, არასამთავრობო ორგანიზაციები მიუთითებენ, რომ ეს პრაქტიკა კვლავ გრძელდება.

არჩევნები და პოლიტიკური პარტიები

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, დაუშვებელია ისეთი პოლიტიკური პარტიის შექმნა და საქმიანობა, რომელიც აღვივებს ეროვნულ, ეთნიკურ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს. პოლიტიკური პარტიის აკრძალვა შეიძლება მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით. ეს სასამართლო საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ 1/5-ის ან მთავრობის სარჩელის საფუძველზე განიხილავს საკითხებს, როგორიცაა პოლიტიკური პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობა, ასევე, ამ პარტიის წარდგინებით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა. ამასთან, საჯარო რეესტრს უფლება აქვს, უარი განაცხადოს პოლიტიკური პარტიის რეგისტრაციაზე, თუ მისი წესდება ან სხვა სარეგისტრაციო დოკუმენტები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას.

საქართველოს საარჩევნო კოდექსი ცალსახად არ კრძალავს სიძულვილის ენას, თუმცა იგი კრძალავს საარჩევნო პროგრამაში მოწოდებას ეროვნული შუღლისა და მტრობისკენ, ასევე, ეთნიკური ან რელიგიური დაპირისპირებისკენ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადებით, კომისია ამ წესის დარღვევაზე ადმინისტრაციულ წარმოებას იწყებს მხოლოდ საჩივრის მიღების შემდეგ და არა საკუთარი ინიციატივით. კერძოდ, საჩივრის მიღების შემდეგ, ცეკსო ამზადებს ოქმს (საქმეს) საერთო სასამართლოში წარსადგენად. წინასაარჩევნო კამპანიის დროს ეროვნული, ეთნიკური ან რელიგიური სიძულვილის წახალისებისთვის გათვალისწინებულია ჯარიმა 2 000 ლარის ოდენობით (დაახლოებით, 500 ევრო). არსებული კანონმდებლობის თანახმად, სასამართლო სამართალდამრღვევს მხოლოდ ჯარიმას აკისრებს და მას არ აქვს საშუალება, თავიდან აირიდოს იმავე საზიანო კონტენტის განმეორებით გამოყენება ამ პოლიტიკური პარტიის მიერ.

2019 წელს მმართველმა პარტიამ „ქართული ოცნება“ წარმოადგინა საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც, სხვა ცვლილებებთან ერთად, ითვალისწინებდა „სიძულვილის ენისა და ქსენოფობიის“ აკრძალვას საარჩევნო კოდექსში. სამოქალაქო ორგანიზაციებმა ინიციატივა გააკრიტიკეს შემდეგ არგუმენტებზე დაყრდნობით: სიძულვილის ენის განმარტების გარეშე, შესაძლოა, სახელმწიფომ ბოროტად გამოიყენოს აღნიშნული აკრძალვა და ამან უარყოფითი გავლენა იქონიოს გამოხატვის თავისუფლებაზე; საარჩევნო კოდექსი ისედაც კრძალავს გამოხატვას, რომელიც წაახალისებს ეროვნულ შუღლსა და მტრობას, ასევე, რელიგიურ ან ეთნიკურ დაპირისპირებას. სამოქალაქო ორგანიზაციებმა ხელისუფლებას მოუწოდეს, რომ საარჩევნო რეფორმაზე მუშაობა გაეგრძელებინა უფრო გამჭვირვალე და ინკლუზიური პროცესის ფარგლებში.[21] პარლამენტს ეს ცვლილებები არ მიუღია.

პოლიტიკური პარტიებისა და მათი წარმომადგენლების მიერ სიძულვილის ენის გამოყენება პრობლემური საკითხია, განსაკუთრებით, წინასაარჩევნო პერიოდში. პოლიტიკურ პარტიებს არ აქვთ მკაფიო ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა. პარტიული პროგრამების უმრავლესობა მცირე ინფორმაციას შეიცავს ან საერთოდ არაფერს ამბობს პარტიის ხედვაზე თანასწორობისა და ფუნდამენტური უფლებების შესახებ. მზარდია იმ პოლიტიკური პარტიების რაოდენობა, რომლებსაც ღიად ექსტრემისტული, ქსენოფობიური და ჰომოფობიური დღის წესრიგი აქვთ.

2020 წელს მედიის განვითარების ფონდმა მონიტორინგი გაუწია საპარლამენტო არჩევნებამდე გამართულ კამპანიას. საანგარიშო პერიოდში ჯამურად გამოვლინდა 140 განცხადება, რომლებიც შეიცავდა სიძულვილის ენას, მათ უმეტესობას კი ჰქონდა ჰომოფობიური და ქსენოფობიური შინაარსი.[22]

ზოგადი განათლების სფერო

ზოგადი განათლების შესახებ კანონის თანახმად, რელიგიური ნეიტრალურობა და დისკრიმინაციის აკრძალვა საჯარო განათლების ძირითადი პრინციპებია. კანონის მიზანია, თითოეული მოსწავლისთვის შექმნას სასწავლო გარემო, რომელიც ეფუძნება თანასწორობასა და რელიგიურ ნეიტრალიტეტს. ამავდროულად, სახალხო დამცველის, ასევე, არასამთავრობო და რელიგიურ უმცირესობათა ორგანიზაციების თანახმად, რელიგიური ინდოქტრინაცია და პროზელიტიზმი საჯარო სკოლებში პრობლემურ საკითხად რჩება. სკოლებში ხშირად გამოიყენება რელიგიური სიმბოლოები არასეკულარული, ინდოქტრინაციის მიზნებით. ასევე პრობლემურია საჯარო სკოლების მასწავლებელთა სტერეოტიპული აღქმები. როგორც ანალიზის მონაწილეები აღნიშნავენ, სახელმწიფოს არ აქვს სისტემური მიდგომა ისეთ საკითხებთან მიმართებით, როგორიცაა სისტემატური და პროაქტიული მონიტორინგი

[21] სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი განცხადება, 2019: https://isfed.ge/geo/gantskhadebebi/saarchevno-kanonmdeblobis-tsvlilebebze-mushaoba-unda-gagrdzeldes

[22] მედიის განვითარების ფონდი (2020), წინასაარჩევნო მონიტორინგი: http://www.mdfgeorgia.ge/geo/view-library/191

დისკრიმინაციის შემთხვევებზე, ასევე, საჯარო სკოლის მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის სიღრმისეული გადამზადება.

საჯარო სკოლებში არსებული გარემოს მსგავსად, სასკოლო სახელმძღვანელოები ძირითადად მომზადებულია დამკვიდრებულ ეთნიკურ და რელიგიურ შეხედულებებზე დაყრდნობით.[23] თუმცა, 2019 წლიდან განათლების სამინისტრომ, სახალხო დამცველის ოფისთან თანამშრომლობით, სასკოლო საგნების ახალ სახელმძღვანელოთა შერჩევა-რევიზიის პროცესში ჩართო ადამიანის უფლებათა ექსპერტები. კრიტერიუმები, რომლებითაც ფასდება სახელმძღვანელოების შესაბამისობა ადამიანის უფლებათა პრინციპებსა და დისკრიმინაციის აკრძალვასთან, მოიცავს შემდეგი საკითხების განხილვასაც: ტოლერანტობა და მრავალფეროვნება, გენდერული ნეიტრალურობა, ეთიკური სტანდარტები და ა.შ.

სიძულვილის ენის მონიტორინგი

ECRI-ის 2016 წლის მონიტორინგის ანგარიშში საქართველოს შესახებ აღნიშნულია, რომ არ არსებობს ოფიციალური მონაცემები რასისტულ და ჰომოფობიურ/ტრანსფობიურ სიძულვილის ენაზე. რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია აღრიცხავს დოკუმენტურად ჟურნალისტებისა და პოლიტიკოსების მიერ სიძულვილის ენის გამოყენების მაგალითებს. გარდა ამისა, სახალხო დამცველის ყოველწლიურ ანგარიშებში საქართველოში თანასწორობის მდგომარეობის შესახებ სპეციალური თავი ეთმობა დისკრიმინაციის წახალისებას. ეს მონაცემები მნიშვნელოვანია, თუმცა ამომწურავი არ არის. ECRI-ის რეკომენდაციის თანახმად, მთავრობამ უნდა შექმნას რასისტულ და ჰომოფობიურ/ტრანსფობიურ სიძულვილის ენაზე მონიტორინგის ეფექტიანი სისტემა, რომელიც დაეფუძნება სახალხო დამცველისა და შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციების ექსპერტულ ცოდნასა და გამოცდილებას.[24]

---

[23] რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნების ასახვა სასკოლო სახელმძღვანელოებში, ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი: http://tdi.ge/sites/default/files/saxelmzgvaneloebis_analizi_tdi_2016.pdf

[24] ECRI-ის ანგარიში საქართველოს შესახებ (2016), პარ. 24.

საქართველოში სიძულვილის ენის მექანიზმთა სისტემური რუკა

სამაგიდო კვლევაზე, ინტერვიუებსა და დაინტერესებულ მხარეთა სემინარებზე დაყრდნობით, შემუშავდა სიძულვილის ენის მექანიზმთა სისტემური რუკა. რუკაზე წარმოდგენილი მიგნებები ეფუძნება კვლევის მეთოდოლოგიაში მითითებულ წყაროებს, ინტერვიუებსა და სამაგიდე კვლევას.

რუკის დეტალური ვიზუალიზაციის სანახავად, იხილეთ:

სიძულვილის ენის მექანიზმთა რუკის ინგლისური ვერსიის ბმული:

https://kumu.io/experientia/hate-speech-georgia-systemic-map-en

სიძულვილის ენის მექანიზმთა რუკის ქართული ვერსიის ბმული:

https://kumu.io/experientia/hate-speech-georgia-systemic-map-geo

სისტემური დიზაინის ჩარჩო

სისტემური აზროვნება და დიზაინი

კომპლექსური საკითხების გადასაჭრელად, მნიშვნელოვანია იმ სისტემის ჰოლისტიკურად აღქმა, სადაც მომხმარებლები და დაინტერესებული მხარეები ოპერირებენ. ამის მეშვეობით, ეფექტიანად დადგინდება, თუ საიდან იღებს სათავეს კონკრეტული პრობლემა და რატომ არსებობს იგი.

სისტემური აზროვნება არის მენტალური ჩარჩო, რომელიც რეალობას შემდეგნაირად განმარტავს: რეალობა შედგება იმ ელემენტთა ჯგუფისგან, რომლებიც ერთი ან რამდენიმე მიზნის მისაღწევად ურთიერთქმედებენ და რომელთა შორისაც არსებობს მიზეზშედეგობრივი კავშირი. ეს არის სისტემის სტრუქტურისა და ქცევების შესწავლის ინსტრუმენტი, რომელიც იძლევა ზემოქმედების წერტილების იდენტიფიცირებისა და გამოყენების შესაძლებლობას. შეიძლება ითქვას, რომ სისტემური აზროვნება არის ენა, ვინაიდან იგი სისტემის აღსაწერად იყენებს სპეციფიკურ ლექსიკას.

სისტემური აზროვნება გვეხმარება, რომ უფრო ეფექტიანად გავიაზროთ გამოწვევები, რომლებიც საჭიროებს გადაჭრას. ეს შესაძლებელია ყველა იმ ცვლადის თავმოყრით, რომლებიც პირდაპირ ან ირიბ გავლენას ახდენს პრობლემაზე/ხელს უწყობს მას.

შესაძლებელია პრობლემის ინტუიციური ან კონტრინტუიციური გადაჭრის გზების გამოვლენა და ჩარევა იმ სისტემის სტრუქტურასა და ქცევაში, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანთა ცხოვრებაზე.

როგორ შევადგინოთ სისტემის რუკა: მიზეზშედეგობრივი მარყუჟების დიაგრამა

სისტემაში ინტერვენციის პირველი ნაბიჯია მისი რუკის შედგენა, რათა სრულყოფილი წარმოდგენა გვქონდეს სისტემის შესახებ და სათანადოდ გავიაზროთ მისი სტრუქტურა.

სისტემურ მიდგომაში გამოყენებული ერთ-ერთი ყველაზე კონსოლიდირებული ინსტრუმენტია მიზეზშედეგობრივი მარყუჟების დიაგრამა - სისტემაში არსებული ცვლადების, ურთიერთობებისა და უკუკავშირების მარყუჟთა წარმოდგენა დიაგრამულად. ამ ინსტრუმენტს სამი ძირითადი უპირატესობა აქვს. კერძოდ, ის არის:

1. ინკლუზიური: შესაძლოა, ცვლადები იყოს როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი და, ამასთან, მომდინარეობდეს უაღრესად განსხვავებული და მრავალფეროვანი სფეროებიდან;
2. დინამიკური: მიუხედავად იმისა, რომ რუკა სტატიკურია, უკუკავშირის მარყუჟის კონცეფციის წყალობით, მას შეუძლია, გვიამბოს რამდენიმე ისტორია, რომლებიც ციკლურად და ერთდროულად ვითარდება;
3. კოდიფიცირებული: რუკას ადგენენ სპეციფიკური ვიზუალური გრამატიკის გამოყენებით, რომელიც იძლევა სხვადასხვა პროექტის დიაგრამათა შედარების შესაძლებლობას.

მიზეზშედეგობრივი მარყუჟების დიაგრამაში **ცვლადები** შეიძლება იყოს მატერიალური ან არამატერიალური, რაოდენობრივი ან ხარისხობრივი, დროთა განმავლობაში მზარდი ან კლებადი.

ურთიერთკავშირები აღწერს, თუ რა გავლენას ახდენს ელემენტის გაზრდა ან შემცირება მეორე ელემენტის გაზრდასა და კლებაზე. მაგალითად, სიძულვილისა და შეუწყნარებლობის გავრცელება ზრდის სიძულვილის ენის ფენომენის ნორმალიზებას. უფრო კონკრეტულ შემთხვევებში, სექსისტური დისკურსის გამოყენება გავლენას ახდენს გენდერული პარადიგმის პოლარიზაციაზე და კიდევ უფრო აძლიერებს მას.

სიძულვილისა და შეუწყნარებლობის გავრცელება ____ კავშირი _____ სიძულვილის ენის ნორმალიზება



ამ ურთიერთობებს ეწოდება:

1. **ერთი მიმართულების კავშირი** - პირდაპირპროპორციული კავშირი, რომელიც ზრდის (+) ან ამცირებს (-) მომდევნო ცვლადს;
2. **საწინააღმდეგო მიმართულების კავშირი** - უკუპროპორციული კავშირი, სადაც ერთი ცვლადის გაზრდისას მასთან დაკავშირებული მეორე ცვლადი მცირდება, ან პირიქით.

ერთი მიმართულების კავშირი

საწინააღმდეგო მიმართულების კავშირი



თუ ცვლადის ზრდა იწვევს მეორე ცვლადის ზრდას, მათ შორის ერთი მიმართულების კავშირია, ხოლო თუ ერთი ცვლადის ზრდა იწვევს მეორე ცვლადის შემცირებას, მათ შორის საწინააღმდეგო მიმართულების კავშირია.

უკუკავშირის მარყუჟები:

1. **გამაძლიერებელი უკუკავშირი** - მაგალითად, როდესაც შეუწყნარებლობის გავრცელება ზრდის აზრთა რადიკალიზაციას სხვადასხვა ჯგუფს შორის, რაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო ავრცელებს შეუწყნარებლობას და განამტკიცებს ამ მექანიზმს.

გამაძლიერებელი უკუკავშირი

შეუწყნარებლობის გავრცელება

მოსაზრებათა რადიკალიზაცია



1. **გამაწონასწორებელი უკუკავშირი** - მექანიზმი, რომელიც ინარჩუნებს ბალანსს სხვადასხვა ცვლადს შორის. მაგალითად, თუ დისკრიმინაციის ზრდისას გაიზრდება ახალგაზრდების ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიის ხელშეწყობა, ამან შეიძლება შეამციროს დისკრიმინაცია და დაბალანსოს აღნიშნული ფენომენი.

დამბალანსებელი უკუკავშირი

დისკრიმინაცია

ახალგაზრდების ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიის ხელშეწყობა



სიძულვილის ენის მექანიზმთა რუკა

რუკის შემუშავების პროცესში გამოვლენილი მექანიზმები:

საკვანძო მექანიზმი	ეს არის ზოგადად სიძულვილის ენის მამოძრავებელი ძალა, საიდანაც სათავეს იღებენ უფრო სპეციფიკური მექანიზმები.
უმცირესობები	ეს მარყუჟი მოიცავს სამ სფეროს, სადაც გამოიყენება სიძულვილის ენა: უცხოელები და/ან მიგრანტები, ეთნიკური უმცირესობები და რელიგიური უმცირესობები.
იდენტობა და გეოპოლიტიკური გავლენა	ეს მარყუჟი უკავშირდება ანტიდასავლურ ნარატივებს, ასევე საკითხს, თუ როგორ აძლიერებს აღნიშნული ნარატივი ლიბერალურ ფასეულობათა მიუღებლობას და თავსმოხვეულად აღქმას.
განათლება	ეს მარყუჟი მოიცავს განათლების თემას საჯარო სკოლებში, ასევე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლს, და საჭიროებას, რომ სკოლა გახდეს თანასწორობისა და ტოლერანტობის გავრცელების საწყისი წერტილი.
სოგი და გენდერული თანასწორობა	ეს მარყუჟი შეეხება სიძულვილის ენას ქალების წინააღმდეგ (გენდერის ნიშნით) და ლგბტი პირების წინააღმდეგ (სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით).
სიძულვილის ენის რეგულირება	ეს მარყუჟი ასახავს სიძულვილის ენის რეგულირებასთან დაკავშირებულ სისუსტეებსა და წუხილებს.
სიძულვილის ენა საჯარო სივრცეში	ეს მარყუჟი შეეხება სოციალურ ქსელებში სიძულვილის ენის გამოყენების შედეგებს, პოლიტიკოსთა როლსა და დეზინფორმაციის მექანიზმების გავლენას.
საკანონმდებლო ღონისძიებები	ეს მარყუჟი მოიცავს სხვადასხვა თემატურ სფეროსთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ღონისძიებებს.



სიძულვილის ენის მექანიზმთა საბოლოო რუკა მოიცავს შემდეგ საკითხებს:

მარყუჟი | საკვანძო მექანიზმი *(გამაძლიერებელი უკუკავშირი)*

სიძულვილის ენა თვითგანმტკიცებადი ფენომენია. ჩაკეტილი წრე იწყება საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპული იდეებით კონკრეტული ჯგუფების შესახებ. როგორც წესი, ესენი არიან კულტურული ან ეთნიკური უმცირესობები, ან ის ადამიანები, რომლებიც აღიქმებიან ე.წ. ტრადიციული თუ კონსერვატიული ღირებულებებისგან დაშორებული გენდერული იდენტობისა და/ან სექსუალური ორიენტაციის სიმბოლოდ. ეს სტერეოტიპები განაპირობებს დისკრიმინაციას საჯარო და კერძო ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, რაც, თავის მხრივ, იწვევს აღნიშნული ჯგუფების მარგინალიზაციას. კერძოდ, ხშირად მათ არ აქვთ წვდომა საჯარო სივრცეებზე და არ შეუძლიათ სარგებლობა თანასწორი უფლებებით. მარგინალიზება გულისხმობს, რომ ეს ადამიანები არიან ნაკლებად ხილულნი, შექმნილ მდგომარეობას კი სხვები ბუნებრივად ან ნორმალურად მიიჩნევენ. ამ ფენომენის ნორმალიზება ასევე ამცირებს სიძულვილის ენასთან დაპირისპირებას სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენელთა და სხვა საჯარო პირთა მხრიდან, რომელთა ნაწილი ხშირად თავადაც იყენებს სიძულვილის ენას. აღნიშნული ვითარება ამცირებს სიძულვილის ენის პრობლემურად აღქმას და ზრდის მის გავრცელებას.



მარყუჟი | მიგრანტები/უცხოელები (*გამაძლიერებელი უკუკავშირი)*

სტერეოტიპები მიგრანტებისა და უცხოელების შესახებ სხვადასხვა გავლენას ახდენს მათ აღქმაზე საზოგადოების მიერ. კერძოდ, მიგრანტები/უცხოელები, განსაკუთრებით, გარკვეული ქვეყნებიდან, როგორც წესი, წარმოჩენილნი არიან ეროვნული უსაფრთხოებისა და იდენტობის საფრთხედ. შედეგად, მცირდება ამ ადამიანთა მიმართ ნდობა და იზრდება ქსენოფობიური და რასისტული დამოკიდებულებები. არსებობს მზარდი შიშიც, რომ „განსხვავებულ“ ადამიანებად აღქმულ მიგრანტთა და უცხოელთა იდენტობამ და ფასეულობებმა შეიძლება დაძლიოს ქართული იდენტობა და ფასეულობები. ეს შიში იწვევს უფრო რადიკალური და ქსენოფობიური ჯგუფებისა და პოლიტიკური პარტიების ფორმირებას, რაც საფრთხეს უქმნის მიგრანტებსა და სხვა უცხოელებს და იწვევს უარყოფითი სტერეოტიპების გავრცელებას მათზე. ამ ჯგუფების საფრთხედ წარმოჩენა ზრდის რადიკალურ ნაციონალიზმს.



მარყუჟი | ეთნიკური უმცირესობები (*გამაძლიერებელი უკუკავშირი)*

ეთნიკური უმცირესობების მარგინალიზაცია ქმნის ვითარებას, სადაც ამ ჯგუფებს მიკუთვნებული ადამიანები არ აღიქმებიან ქვეყნის ნაწილად და, შესაბამისად, თანასწორუფლებიან მოქალაქეებად. ეს აღქმა, გავრცელებული ზოგიერთი ჯგუფის მიერ, ასუსტებს ისტორიულ ცნობიერებას, რომ ერს ქვეყანაში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებთან საერთო წარსულის აქვს. საქართველოს ტერიტორიაზე და კულტურაში უმცირესობათა ისტორიული კონტექსტუალიზაციის ნაკლებობა უკავშირდება იმ პრობლემასაც, რომ სკოლის სახელმძღვანელოებში ხშირად არ არიან მოხსენიებულნი უმცირესობები. შედეგად, იქმნება წარმოდგენა, რომ საქართველოს ისტორიაში ისინი არ არსებობდნენ. მსგავს ნარატივებს ხშირად მოჰყვება ამ ჯგუფების წინააღმდეგ ახალი ბრალდებების შეთხზვა, როგორიცაა საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მოქმედება. ამის გამო, ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლები ხშირად განიცდიან დისკრიმინაციას და არ სარგებლობენ თანასწორი მოპყრობით. უთანასწორო მოპყრობა ამცირებს ამ ჯგუფების ინტეგრაციას ქართულ საჯარო და პოლიტიკურ სივრცეებში და აძლიერებს განცდას, რომ ისინი არ განიხილებიან ქვეყნის ნაწილად. ამასთან, ინტეგრაციის ნაკლებობა უკავშირდება ხარისხიანი სერვისებსა და განათლებაზე წვდომის ნაკლებობას, განსაკუთრებით, უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, რამაც შეიძლება განაპირობოს მათი სოციალური გაუცხოება, ზოგ შემთხვევაში კი - სხვადასხვა ჯგუფს შორის კონფლიქტებიც. ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციისა და ჩართულობის ხელშესაწყობად, მთავრობამ მიიღო სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და სამოქმედო გეგმა. თუმცა, სისტემური ანალიზის პროცესში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ გატარებული ღონისძიებები არ კმარა არსებული სტერეოტიპების დასაძლევად, ასევე ამ ჯგუფების სრულფასოვანი მონაწილეობისთვის საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში.


ინტეგრაცია
და განათლებაზე ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით უმცირესობების რეგიონებში
უთანასწორო მოპყრობა
ეთნიკური უმცირესობები (R)
უმცირესობების აღქმა, რომ ისინი არ არიან ამ ქვეყნის ნაწილი
ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია
საერთო ისტორიული წარსულის წინააღმდეგ მიმართული ნარატივი
საქართველოს ინტერესების და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მოქმედების ბრალდება
მეტი რადიკალური

მარყუჟი | რელიგიური უმცირესობები (*გამაძლიერებელი უკუკავშირი*)

ნაციონალიზმი უკავშირდება რელიგიასაც: უარყოფითი სტერეოტიპების მსხვერპლნი არიან რელიგიური უმცირესობებიც (რომელთა ნაწილი ეთნიკურ უმცირესობასაც განეკუთვნება). მაგალითად, ზოგიერთი მათგანი წარმოჩინდება როგორც ქვეყნის მიმართ არალოიალური ადამიანი. შედეგად, სიძულვილის ენა ვრცელდება იმ პირების ან ჯგუფების მიმართ, რომლებიც მიეკუთვნებიან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისაგან განსხვავებულ რელიგიას. სიძულვილის ენა იწვევს ქვეყანაში მცხოვრებ რელიგიურ უმცირესობათა დისკრიმინაციას. ეს გულისხმობს, რომ გარკვეული უფლებები და პრივილეგიები (მაგ: საკანონმდებლო, საგადასახადო, ქონებრივი და სხვა) მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაზე ვრცელდება და მცირდება სხვა რელიგიური ჯგუფების ხილვადობა საჯარო სივრცეში. რელიგიურ უმცირესობათა დისკრიმინაცია ეწინააღმდეგება თანასწორობისა და სეკულარობის პრინციპებს, მათგან გადახვევას კი მოჰყვება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ინტერესების ექსკლუზიურად დაცვა. ზოგ შემთხვევაში, ეს ხელს უწყობს სიძულვილისა და გარიყულობის დისკურსს არადომინანტურ რელიგიათა მიმართ და განამტკიცებს ე.წ. „ტრადიციულ“ ფასეულობებს.



მარყუჟი | განათლება (*გამაძლიერებელი უკუკავშირი)*

თანასწორობისა და სეკულარული სახელმწიფოს პრინციპებს ეწინააღმდეგება რელიგიის გავლენა საჯარო სკოლებში. სისტემური ანალიზის მონაწილეთა განმარტებით, მართლმადიდებელი ეკლესიის გავლენა საჯარო განათლების სფეროში ხშირად გულისხმობს კონსერვატული იდეებისა და ფასეულობების გავრცელებას. შედეგად, საჯარო სკოლებსა და უნივერსიტეტებში პატივს არ სცემენ თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპებს. სწავლება მიმდინარეობს დისკრიმინაციული სახელმძღვანელოებით, რის გამოც მოსწავლეებიც და მასწავლებლებიც ნორმად აღიქვამენ დისკრიმინაციულ შინაარსს. ნორმალიზების ასეთი ფენომენი განამტკიცებს დისკრიმინაციას და ეკლესიის ჩარევას საჯარო სკოლებში.

გამაწონასწორებელი უკუკავშირი | განათლება

რელიგიური ნეიტრალობის დარღვევა ასევე ზრდის მოთხოვნას საჯარო განათლებაში დისკრიმინაციული შინაარსისა და რელიგიური გავლენის შეზღუდვაზე. ზოგადი განათლების შესახებ კანონის სრულყოფილად დაცვას მოჰყვება სახელმძღვანელოთა გადახედვა - მიმდინარე პროცესი, რომელსაც უძღვება განათლების სამინისტრო - ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ საწყისი ტრენინგის შეთავაზება მასწავლებელთა გარკვეული ჯგუფებისთვის, რათა გაუმჯობესდეს მათი ცოდნა ადამიანის უფლებებსა და ტოლერანტულ ღირებულებებზე (აგრეთვე მიმდინარე პროცესი). ეს აქტივობები, თავის მხრივ, ზრდის თანასწორობისა და ტოლერანტობის პრინციპების პატივისცემას. ამასთანავე, საჭიროა დამატებითი ძალისხმევაც, რათა გამყარდეს ტოლერანტობისა და თანასწორობის ღირებულებათა სწავლება საჯარო სკოლებში.



მარყუჟი | იდენტობა და გეოპოლიტიკური გავლენა (*გამაძლიერებელი უკუკავშირი*)

ზოგიერთი პოლიტიკური და რელიგიური ლიდერი და ექსტრემისტული ჯგუფი ამკვიდრებს ანტიდასავლურ ნარატივს და მხარს უჭერს/ავრცელებს იდეას, რომ დასავლეთი საქართველოს თავს ახვევს საკუთარ პოლიტიკასა და ღირებულებებს. შედეგად, იზრდება აღქმა, რომ ადამიანის უფლებათა ენა გარედან არის შემოტანილი - ის დასავლური კულტურის ნაწილია და არა ქართული ტრადიციის. ამ ტიპის ნარატივების შედეგად, ბევრ ადამიანს სჯერა, რომ დასავლეთი საფრთხეს უქმნის მათ დამოუკიდებლობასა და კულტურულ მთლიანობას, რაც განაპირობებს ე.წ. ტრადიციულ ღირებულებათა რადიკალიზაციას. როგორც წესი, ვინც „ტრადიციულ ღირებულებებს“ უჭერს მხარს, ეწინააღმდეგება ლიბერალურ ღირებულებებს და ხელს უწყობს ანტიდასავლური ნარატივების გავრცელებას.

იდენტობა და გეოპოლიტიკური გავლენა (R)
მოსაზრება, რომ დასავლეთი თავს გვახვევს საკუთარ პოლიტიკას და ღირებულებებს
შიში, რომ ქართულ კულტურულ თვითმყოფადობას ექმნება საფრთხე
"ტრადიციული" ღირებულებების დაცვა
ულტრა-მემარჯვენე ჯგუფების თავდასხმები
ანტი-დასავლური ნარატივები
ადამიანის უფლებების დასავლური კულტურის ნაწილად აღქმა

მარყუჟი | გენდერი და ქალები (*გამაძლიერებელი უკუკავშირი)*

რაც უფრო განმტკიცდება „ტრადიციული ღირებულებები“, მით ნაკლებად იარსებებს გენდერული თანასწორობა და მეტი სივრცე დაეთმობა ტრადიციულ გენდერულ როლებს. ქალებსა და კაცებს შორის უთანასწორობა, ისევე, როგორც მათი ტრადიციული როლები, აძლიერებს და ავრცელებს ქალის როლთან დაკავშირებულ სტერეოტიპებს და ნორმად ამკვიდრებს მათ. სექსისტური დისკურსის გამოყენება ზრდის და, საბოლოო ჯამში, განაპირობებს დისკრიმინაციას, სხვადასხვა ფორმის ძალადობას ოჯახში და სექსუალურ შევიწროებას. ვინც ხმას იმაღლებს როგორც ვერბალური, ისე ფიზიკური ძალადობის წინააღმდეგ, ხშირად თავად ხდება სიძულვილის ენის მსხვერპლი. კონსერვატიული ჯგუფები ხშირად მოითხოვენ, რომ თანასწორობისთვის მებრძოლი პირები დარჩნენ თავიანთ ადგილას და მოიქცნენ ისე, როგორც მათ ტრადიცია კარნახობს. სექსისტური გამონათქვამები ქალების წინააღმდეგ, ზოგადად, ზრდის მათ მიმართ უთანასწორო მოპყრობას ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, განსაკუთრებით, სამუშაო ადგილას, ან მნიშვნელოვანი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობების დაკავებისას.



გამაწონასწორებელი უკუკავშირი / გენდერი და ქალები

გენდერული თანასწორობის პრინციპების უარყოფისას, იზრდება უთანასწორობა ქალებსა და კაცებს შორის. ეს განაპირობებს საზოგადოებაში დისკუსიების ზრდას გენდერულ თანასწორობაზე და ცნობიერების ამაღლებას საკითხზე, რომ სექსუალური შევიწროება არის საზიანო და ძალადობრივი ქმედება ქალთა მიმართ. გენდერულ უთანასწორობაზე ცნობიერების ამაღლებით, ქალები იაზრებენ, რომ ძალადობა, რომელსაც ისინი განიცდიან, მიუღებელია და უნდა შეებრძოლონ მას. თუ მაღალია საჩივრების რაოდენობა, გაიზრდება ქალთა მიმართ დისკრიმინაციის, შევიწროებისა და ძალადობის პრობლემის ხილვადობა, ეს კი საზოგადოებას დაეხმარება უთანასწორო მოპყრობისა და ქალებსა და კაცებს შორის გენდერული დისბალანსის შემცირებაში.



მარყუჟი | საჩივრის/შეტყობინების შედეგები (*გამაძლიერებელი უკუკავშირი)*

როცა ქალები ატყობინებენ ძალადობის ან სექსუალური შევიწროების შემთხვევებს, მედიას შეუძლია გადამწყვეტი და მნიშვნელოვანი როლის შესრულება და მთავრობის იძულება, თავიდან აირიდოს გენდერული დისკრიმინაცია და ძალადობა. ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ შემთხვევებზე ინფორმაცია პროფესიულად და ეთიკურად ვრცელდება, რაც ხშირად ასე არ ხდება. მომხდარზე ინფორმაციის გავრცელებით, მედიამ შეიძლება წარმოქმნას სიძულვილის ენის ტალღა ქალისა და მისი მხარდამჭერების (მაგ: არასამთავრობო ორგანიზაციების) მიმართ. ამგვარ მასობრივ სიძულვილის ენას მოჰყვება ქალების გაჩუმება, მათი სიტყვების დელეგიტიმიზაცია და მათ მიმართ ნდობის შემცირება. შემთხვევის შეტყობინების შემდეგ გახშირებული სიძულვილის ენა ქალებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ სხვა ქალებს უბიძგებს, რომ უარი თქვან შეტყობინებაზე.



მარყუჟი | დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიშნით (გამაძლიერებელი უკუკავშირი)

ე.წ. „ტრადიციულ ღირებულებებზე“ აპელირება იწვევს უარყოფითი სტერეოტიპების ზრდას ლგბტი პირთა მიმართ და მათი უფლებების უპატივცემულობას. ვისაც არ სურს ლგბტი ადამიანების უფლებების მიღება, ავრცელებს დისკურსს, თითქოს მათი უფლებები ხელყოფს და საფრთხეს უქმნის უმრავლესობის უფლებებს, განსაკუთრებით, ოჯახურ ცხოვრებასთან მიმართებით. სტერეოტიპები და ამ ნარატივის გავრცელება ზრდის ჰომოფობიურ დამოკიდებულებებსა და განწყობებს, ასევე ძალადობის ეპიზოდებს საჯარო სივრცეში: როგორც სისტემური ანალიზისას ჩატარებულ ინტერვიუებში აღნიშნა, ქუჩებში სულ უფრო მეტ ლგბტი ადამიანს ესხმიან თავს. ჰომოფობიური დამოკიდებულებების ზრდა ლგბტი თემის წევრებს დისკრიმინაციისა და სიძულვილის რისკს უქმნის ფართო საჯარო თუ კერძო სერვისებზე წვდომისას (როგორიცაა ჯანდაცვა ან მაღაზიებით სარგებლობა); ასეთი დისკრიმინაციული მოპყრობა სამუშაო ადგილზეც აისახება. ლგბტი ადამიანებისა და აქტივისტებისთვის საჯარო სივრცე შეზღუდულია და, რეალურად, ისინი ვერ სარგებლობენ საჯაროდ შეკრების თავისუფლებით.



მარყუჟი |სიძულვილის ენის რეგულირება (*გამაძლიერებელი უკუკავშირი)*

სიძულვილის ენის გავრცელების გამო საჭირო ხდება შესაბამისი რეგულირებაც მის დასაძლევად. ასეთი საჭიროების ზრდასთან ერთად, მყარდება აღქმა, რომ არსებული რეგულირება არ არის საკმარისად ეფექტიანი. სისხლის სამართლის კოდექსის არასათანადო აღსრულება დისკრიმინაციულ მოტივთან მიმართებით, ასევე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ამ მოტივის არარსებობა, მსგავს აღქმას კიდევ უფრო ამყარებს. აღნიშნული მიზეზის გამო, დაინტერესებულ მხარეთა მცირე ნაწილი (მაგ: კომუნიკაციების ეროვნული კომისია) თვლის, რომ საქართველოში უნდა დაინერგოს კანონმდებლობა, რომელიც დაარეგულირებს და შეამცირებს სიძულვილის ენის ფენომენს. კომისიის აზრით, გამოხატვის თავისუფლების გაუმართლებელი შეზღუდვის ასარიდებლად, საჭიროა დამატებითი საკანონმდებლო და პროცედურული გარანტიების შექმნა. თუმცა, აღნიშნული კანონმდებლობის შემოღების ჰიპოთეზას, როგორც წესი, ახლავს შიში, რომ მას შეიძლება მოჰყვეს საპირისპირო შედეგები, როგორიცაა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა. კერძოდ, იზრდება შეშფოთება, რომ კანონმდებლობას არასწორად განმარტავს და ბოროტად გამოიყენებს სახელმწიფო, შედეგად კი კიდევ უფრო შეიზღუდება გამოხატვისა და აზრის (მაგ: მედიაში) თავისუფლება. ამრიგად, დაინტერესებულ მხარეთა უმრავლესობა (მათ შორის, არასამთავრობო და მედიაორგანიზაციები, სახალხო დამცველი) სულ უფრო მეტად ემხრობა თვითრეგულირების მექანიზმთა გამოყენებას. ამავდროულად, მყარდება აღქმა, რომ თვითრეგულირების მექანიზმები არაეფექტიანად ფუნქციონირებენ და საჭიროებენ გაუმჯობესებას სიძულვილის ენის ფენომენთან საბრძოლველად. რაც უფრო ნაკლებეფექტიანია თვითრეგულირების ორგანო, მით მეტი პოლიტიკოსი წაახალისებს დისკრიმინაციას და ავრცელებს სიძულვილის შემცველ გზავნილებს. სიძულვილის ენაზე საჩივრების/შეტყობინებების რაოდენობა იკლებს თვითრეგულირების მექანიზმთა არაეფექტიანობის გამო, როგორც სახელმწიფო ინსტიტუტებში, ასევე მედიაში. ამასთან, „დაინტერესებულ მხარეთა“ ბუნდოვანი განმარტების პრობლემა არაერთ ორგანიზაციას უშლის ხელს, რომ შესაბამის ორგანოს შეატყობინოს მედიაში სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები. თვითრეგულირების მექანიზმები გამოიყენება მხოლოდ სამაუწყებლო სფეროში, ონლაინმედიას კი ასეთი ინსტრუმენტები არ გააჩნია.



მარყუჟი | სიძულვილის ენის განმარტება (*გამაძლიერებელი უკუკავშირი)*

სიძულვილის ენის რეგულირების შემოღება ან არსებული თვითრეგულირების მექანიზმების გაუმჯობესება მოითხოვს სიძულვილის ენის საერთო განმარტებას, ასევე, სამართლებრივი დაცვის უფრო ეფექტიან მექანიზმებს. ეს საჭიროებები ზრდის დისკუსიებს საზოგადოებაში, რაც, თავის მხრივ, ამაღლებს ცნობიერებას სიძულვილის ენის უარყოფით შედეგებზე და განამტკიცებს სიძულვილის ენის საერთო განმარტების საჭიროებას.



მარყუჟი | სოციალური ქსელების გავლენა (*გამაძლიერებელი უკუკავშირი)*

სიძულვილის ენის ფენომენის ნორმალიზებას მოჰყვება ზოგიერთი ჯგუფის მიმართ უარყოფითი დისკურსის ნორმალიზებაც. სოციალურ ქსელებში ასევე მზარდია სიძულვილის ენის გამოყენება, რაც აძლიერებს მსგავს გზავნილებს, განსაკუთრებით, როდესაც მათ ავრცელებენ ე.წ. საზოგადოებრივი აზრის შემქმნელები. შედეგად, იზრდება სიძულვილის ენის ხილვადობა, რაც განაპირობებს შეუწყნარებლობის პროპაგანდის მხარდაჭერას ზოგიერთი პოლიტიკოსისა და საჯარო პირის მხრიდან (განსაკუთრებით, წინასაარჩევნო პერიოდში) და ხელს უწყობს სიძულვილის ენის ნორმალიზებას.



მარყუჟი | პოლიტიკოსების როლი (*გამაძლიერებელი უკუკავშირი)*

შეუწყნარებლობის პროპაგანდა, რომელსაც ზოგიერთი პოლიტიკოსი ეწევა (განსაკუთრებით, წინასაარჩევნო პერიოდში), წაახალისებს დისკრიმინაციულ ქცევას. ეს ზრდის რადიკალიზაციას და ხელს უწყობს ქსენოფობიური პოლიტიკური პარტიების შექმნას, რაც, თავის მხრივ, იწვევს სიძულვილის ენის ფენომენის ნორმალიზებას. მედიამონიტორინგი და ისეთი ანგარიშების გამოქვეყნება, რომლებიც შეიცავს მონაცემებს სიძულვილის ენის შესახებ, ზრდის მოქალაქეთა და პოლიტიკოსთა ინფორმირებულობას სიძულვილის ენის გამოყენებაზე და ამცირებს ამ ფენომენის ნორმალიზებას.



მარყუჟი | დეზინფორმაცია *(გამაძლიერებელი უკუკავშირი)*

უარყოფითი დისკურსის ნორმალიზებას ზოგიერთი ჯგუფის მიმართ მოჰყვება უარყოფითი ინფორმაციის გამოქვეყნება მედიასაშუალებათა მიერ, ძირითადად, მარგინალიზებულ ჯგუფებზე. უარყოფითი ინფორმაციის შერჩევითი გავრცელება განამტკიცებს აღქმას, რომ გარკვეულ ფაქტებში მხოლოდ გარკვეული ჯგუფები მონაწილეობენ; ასევე, ქმნის არასწორ წარმოდგენებს რეალობასთან მიმართებით და ამყარებს სტერეოტიპულ იდეებს ამ ჯგუფების მიმართ. უარყოფითი ინფორმაციის შერჩევა-გავრცელება მხოლოდ კონკრეტული ჯგუფების შესახებ ხელს უწყობს ყალბი ამბების გავრცელებას სხვადასხვა სფეროში. ეს, თავის მხრივ, განაპირობებს დეზინფორმაციისა და ცილისმწამებლური ინფორმაციის გამოქვეყნებას მარგინალიზებულ ჯგუფებზე და ამყარებს სტერეოტიპულ იდეებს.



სამომავლო მიმართულებები: შემდგომი ნაბიჯები საქართველოში სიძულვილის ენასთან საბრძოლველად

საქართველოში სიძულვილის ენაზე რეაგირებისთვის, მთავრობამ, მედიამ და სამოქალაქო საზოგადოებამ უნდა გააერთიანონ თავიანთი ძალისხმევა. ამ ფენომენთან საბრძოლველად სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვა-განხორციელებისას, არსებითია გამოხატვისა და აზრის ფუნდამენტური უფლების პატივისცემა და შეზღუდვების ბოროტად გამოყენების პრევენცია.

1. სიძულვილის ენის თვითრეგულირება

არასამთავრობო ორგანიზაციათა უმრავლესობა, მედია და სახალხო დამცველის ოფისი პრობლემურ საკითხად მიიჩნევენ სიძულვილის ენის რეგულირების უფლებამოსილების მინიჭებას სახელმწიფოსთვის. კერძოდ, ისინი მიუთითებენ ნდობის ნაკლებობაზე სახელმწიფო ინსტიტუტებისა და სასამართლო ხელისუფლების მიმართ და შიშობენ, რომ გამოხატვისა და აზრის თავისუფლება არ იქნება სათანადოდ დაცული. შესაბამისად, დაინტერესებული მხარეები თვლიან, რომ შეზღუდვების განხილვისას ნაბიჯები უაღრესი სიფრთხილით უნდა გადაიდგას. სიძულვილის ენასთან ბრძოლისა და მასზე რეაგირების ინიციატივები უნდა განიხილონ გამჭვირვალედ და ინკლუზიურად.

რეკომენდებულია:

- სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობით, დისკუსიების ინიცირება თვითრეგულირების მექანიზმთა გაუმჯობესების გზებზე.
- ყველა სახელმწიფო ინსტიტუტისთვის ქცევის კოდექსის მიღება ან არსებულ ქცევის კოდექსებში შესაბამისი ცვლილებების შეტანა; ამ დოკუმენტებში სიძულვილის ენის განმარტების ასახვა, რათა გათვალისწინებული იყოს სიძულვილის ენასთან დაკავშირებული საკითხები და საჩივრების განხილვის ეფექტიანი მექანიზმები.
- სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობით, დისკუსიების ინიცირება, რომელთა ფარგლებშიც განიხილება ონლაინ და ბეჭდური მედიის მოვალეობა, მიიღონ ქცევის კოდექსები და სიძულვილის ენის მკაფიო განმარტება; ასევე, შექმნან თვითრეგულირების ეფექტიანი მექანიზმები.

2. „სიძულვილის ენისა“ და „დაინტერესებული პირის“ განმარტებები

საქართველოს კანონმდებლობა და ქცევის არსებული კოდექსები არ შეიცავს „სიძულვილის ენის“ განმარტებას. ეს ქმნის ბუნდოვანებას, თუ როგორ უნდა განსაზღვრონ სიძულვილის ენა შესაბამისმა თვითრეგულირების მექანიზმებმა საჩივრების განხილვისას. ასევე, პრობლემური საკითხია, რომ კანონმდებლობა „დაინტერესებულ პირს“ (ე.ი. პირს, რომელსაც უფლება აქვს,

საჩივრით მიმართოს მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს) განსაზღვრავს ვიწროდ, რაც არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სხვა ჯგუფებს ხელს უშლის საჩივრის წარდგენაში. რეკომენდებულია:

- სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობით, დაიწყოს დისკუსიები სიძულვილის ენის განმარტების მნიშვნელობაზე, ასევე, მის ასახვაზე შესაბამის ქცევის კოდექსებსა და/ან კანონმდებლობაში;
- პარლამენტმა შეცვალოს „დაინტერესებული პირის“ განმარტება, რათა თვითრეგულირების მექანიზმებში საჩივრის წარდგენა შეეძლოს დაინტერესებულ მხარეთა ფართო სპექტრს, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციებსაც.

3. ცნობიერების ამაღლება და ადვოკატირება

დისკრიმინაციისა და სიძულვილის ენის ძირითადი წყაროა პატივისცემის ნაკლებობა ფუნდამენტური უფლებების, თანასწორობის პრინციპისა და მრავალფეროვნების მიმართ, ასევე, ღრმად ფესვგადგმული სტერეოტიპები, დეზინფორმაცია და მასთან დაკავშირებული სხვა ფაქტორები. ხშირად, უმცირესობათა ჯგუფები წარმოდგენილნი არიან როგორც „სხვები“, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ეროვნულ იდენტობასა და ტრადიციებს. ამავდროულად, პოპულისტური, ქსენოფობიური და ჰომოფობიური ჯგუფების ზრდის გათვალისწინებით, უაღრესად მნიშვნელოვანია დაინტერესებულ მხარეთა (სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორთა) გაერთიანება და საერთო ძალისხმევით ბრძოლა სიძულვილის ენასა და დისკრიმინაციასთან.

რეკომენდებულია:

- მრავალფეროვნების ხელშეწყობა და ხმის ამაღლება სიძულვილის ენის უარყოფით გავლენაზე. ამ კამპანიებში უნდა ჩაერთოს სახელმწიფო ინსტიტუტების ფართო სპექტრი, რომლებიც მჭიდროდ ითანამშრომლობენ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახალხო დამცველსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.
- კულტურათაშორისი დიალოგის წახალისება, კულტურული მრავალფეროვნებით გამდიდრებული ისტორიული მემკვიდრეობის წარმოჩენა და უმცირესობათა როლის ხაზგასმა ქვეყნის კულტურულ, პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. ამ პროცესში უნდა ჩაერთონ შესაბამისი სახელმწიფო უწყებები - მათ შორის, განათლების სამინისტრო, სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში, სახალხო დამცველი, მედია, არასამთავრობო ორგანიზაციები, უმცირესობათა ჯგუფები, სხვა დაინტერესებული მხარეები - და ხელი შეუწყონ მას.
- სახელმწიფო, არასამთავრობო ორგანიზაციები და მედია უნდა დაუპირისპირდნენ დეზინფორმაციასა და უარყოფით სტერეოტიპებს.

- პოლიციელების, მოსამართლეების, მასწავლებლებისა და ყველა შესაბამისი სახელმწიფო მოხელის ცნობიერების ამაღლება კულტურულ მრავალფეროვნებაზე, თანასწორობის ღირებულებებზე, სიძულვილის ენასა და დისკრიმინაციის შედეგებზე.

4. მედიისა და ინტერნეტის როლი

სიძულვილის ენა, უმეტეს შემთხვევაში, მედიით და ინტერნეტით ვრცელდება. მეორე მხრივ, ამ საშუალებებს შეუძლიათ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ თანასწორობისა და მრავალფეროვნების ხელშეწყობაში, ასევე, დეზინფორმაციასთან, ყალბ ამბებსა და სიძულვილის ენასთან ბრძოლაში.

რეკომენდებულია:

- ამაღლდეს ჟურნალისტებისა თუ მომავალი ჟურნალისტების ცნობიერება და გაუმჯობესდეს მათი ინფორმირებულობა სიძულვილის ენაზე; ასევე, ხელი შეეწყოს თანამშრომლობას მედიას, უნივერსიტეტებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის.
- მედია მხარს უჭერდეს მრავალფეროვნებისა და ფუნდამენტური უფლებების განვითარებას.
- მედიამ დემოკრატიულ საზოგადოებაში შეასრულოს მოდარაჯის როლი, სიფრთხილით გაფილტროს და ფაქტებზე დაფუძნებით გააშუქოს სიძულვილის ენის შემცველი განცხადებები; ამავდროულად, თავი შეიკავოს შეურაცხმყოფელი, სტერეოტიპული გაშუქებისგან და იფხიზლოს ცრურწმენებითა და სიძულვილის ენით გამოწვეულ საფრთხეებთან.
- მედიის მეშვეობით, თვითრეგულირების მექანიზმი უნდა გახდეს საზოგადოებისათვის ადვილად ხელმისაწვდომი და გაუმჯობესდეს საჩივრის წარდგენისა თუ განხილვის პროცედურები.

5. განათლება

სკოლებსა და უნივერსიტეტებს შეუძლიათ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ უარყოფით სტერეოტიპებსა და სიძულვილის ენასთან ბრძოლაში. საქართველოს კანონმდებლობა საჯარო სკოლებში ქმნის დისკრიმინაციისაგან თავისუფალ და რელიგიური თვალსაზრისით ნეიტრალურ გარემოს. მიუხედავად ამისა, დაინტერესებული მხარეები შეშფოთებას გამოთქვამენ ამ პრინციპების ხშირად დარღვევისა და საჯარო სკოლის მასწავლებელთა სტერეოტიპული აღქმების გამო.

რეკომენდებულია:

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ კომპლექსური მიდგომა შეიმუშაოს დისკრიმინაციის აკრძალვის მიმართ და ტრენინგმა თანასწორობისა და ტოლერანტობის შესახებ მოიცვას ყველა საჯარო სკოლის მასწავლებლები. სამინისტრომ უზრუნველყოს ტრენინგთა ეფექტიანობისა და კურიკულუმთა შესაბამისობის მონიტორინგი და შეფასება.

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გააგრძელოს სკოლის სახელმძღვანელოთა შინაარსის გადახედვა, ასევე, დაამტკიცოს სასკოლო მასალები, რომლებიც თავისუფალია დისკრიმინაციული ენისგან და ასახავს კულტურულ მრავალფეროვნებას.

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ განუხრელად დაიცვას ზოგადი განათლების შესახებ კანონის მოთხოვნები, ასევე, სეკულარობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპები. სამინისტრომ პროაქტიული მონიტორინგი უნდა გაუწიოს და უპასუხოს კანონისა და თანასწორობის პრინციპთა დარღვევის ნებისმიერ ფორმას.

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ითანამშრომლოს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან, მათ შორის, სახალხო დამცველსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რათა ფუნდამენტური უფლებები დაცული იყოს და განვითარდეს საჯარო განათლების სფეროშიც.

- უნივერსიტეტებმა შეიმუშაონ შიდა პოლიტიკა და ქცევის კოდექსები, რომლებიც მიემართება სიძულვილის ენაზე რეაგირებას და მის პრევენციას.

- დაიგეგმოს ფორმალური და არაფორმალური განათლების აქტივობები დეზინფორმაციის შესახებ და განვითარდეს მასწავლებელთა და მოსწავლეთა მედიაწიგნიერების უნარები, რათა მათ შეძლონ გავრცელებული ახალი ამბებისა და ნარატივების კრიტიკულად შეფასება.

6. საჯარო მოხელეები, პოლიტიკური პარტიები და არჩევნები

პოლიტიკოსები და საჯარო პირები, რომლებიც თანასწორი უფლებებისა და მრავალფეროვნების ხელშეწყობის წინა ხაზზე უნდა იყვნენ, ხშირად ავრცელებენ სიძულვილის ენას მოწყვლადი ჯგუფების მიმართ. პოლიტიკური პარტიებისა და მათი წარმომადგენლების მიერ სიძულვილის ენის გამოყენება კიდევ უფრო თვალსაჩინოა წინასაარჩევნო პერიოდებში. პოლიტიკურ პარტიებს არ აქვთ მკაფიო ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა. ამავდროულად, იზრდება იმ პოლიტიკური პარტიების რიცხვი, რომლებსაც აქვთ ღიად ექსტრემისტული, ქსენოფობიური და ჰომოფობიური დღის წესრიგი.

რეკომენდებულია:

- საჯარო პირებმა მკაფიო განცხადებები გააკეთონ სიძულვილის ენის წინააღმდეგ და ხელი შეუწყონ კულტურულ მრავალფეროვნებასა და თანასწორობას; ასევე,

კრიტიკულად შეაფასონ შეუწყნარებლობის, დისკრიმინაციისა და სიძულვილის ენის შემთხვევები.

- პოლიტიკურმა პარტიებმა შეიმუშაონ მკაფიო ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა და თვითრეგულირების მექანიზმები, რათა ადეკვატურად უპასუხონ სიძულვილის ენის გამოყენებას მათი წარმომადგენლების მიერ.

- პოლიტიკურმა პარტიებმა თავიანთი წევრებისთვის ჩაატარონ ტრენინგები და ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობები ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებსა და თანასწორობის პრინციპებზე.

- პრეზიდენტმა, პარლამენტის წევრმა ან მთავრობამ საკუთარი მანდატის ფარგლებში მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს იმ პოლიტიკური პარტიების აქტივობათა წინააღმდეგ, რომლებსაც აქვთ მკაფიო ექსტრემისტული დღის წესრიგი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური ან სოციალური შუღლის გავრცელების კუთხით.

- საქართველოს საარჩევნო კოდექსის იმ მუხლის საფუძველზე, რომელიც კრძალავს საარჩევნო პროგრამაში მოწოდებას ეროვნული შუღლისა და მტრობისკენ, ასევე, ეთნიკური ან რელიგიური დაპირისპირებისკენ, ცესკომ მონიტორინგი გაუწიოს და პროაქტიულად უპასუხოს პოლიტიკური პარტიების მიერ სიძულვილის ენის გამოყენებას წინასაარჩევნო პერიოდში.

- პარლამენტმა საარჩევნო კანონმდებლობაში შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები და გაზარდოს ჯარიმა წინასაარჩევნო პერიოდში ეროვნული, ეთნიკური თუ რელიგიური სიძულვილის ან კონფლიქტის გაღვივებისთვის, რათა ჯარიმა იყოს რაციონალური და ჰქონდეს პრევენციული ეფექტი.

7. სამართალდამცველი ორგანოები

არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის თანახმად, საგამოძიებო ორგანოები ხშირად უგულებელყოფენ სიძულვილის მოტივს, აჭიანურებენ გამოძიებას, და არაერთი შემთხვევა კვალიფიცირდება, როგორც ჩვეულებრივი დანაშაული. ასეთი მიდგომა შეიძლება მიანიშნებდეს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა მიმღებლობაზე და ამცირებდეს ნდობას პოლიციისა და მართლმსაჯულების სისტემის მიმართ. საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას, პოლიცია თავისუფალი უნდა იყოს სტერეოტიპებისა და მიკერძოებისგან და ჰქონდეს მკაცრი პოლიტიკა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

რეკომენდებულია:

- სამართალდამცველმა უწყებებმა (პოლიცია, სასაზღვრო პოლიცია, გამომძიებლები, პროკურორები და ა.შ.) თანამშრომლებისთვის შეიმუშაონ მკაფიო სახელმძღვანელო ინსტრუქციები და ქცევის კოდექსი სიძულვილის ენის, დისკრიმინაციის, ეთნიკური/რასობრივი პროფილირებისა და სტერეოტიპების დაუშვებლობის შესახებ;

ამასთან, განავითარონ თანამშრომელთა უნარები კულტურული მრავალფეროვნებისა და მრავალფეროვან გარემოში ეთიკური ქცევის კუთხით.

- შსს-მ განავითაროს და პოლიციის აკადემიის პროგრამებში ჩართოს კომპლექსური კურსები ადამიანის უფლებების, დისკრიმინაციის აკრძალვისა და კულტურული მრავალფეროვნების შესახებ.
- სამართალდამცველმა ორგანოებმა აქტიურად ითანამშრომლონ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სახალხო დამცველთან და ინიცირება გაუწიონ ცნობიერების ასამაღლებელ ერთობლივ კამპანიებს სიძულვილის ენისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ.
- შსს-მ და პროკურატურამ დროულად და ეფექტიანად უპასუხონ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებს.
- შსს-მ უფრო ხშირად გამოიყენოს ნორმა, რომელიც შეეხება დისკრიმინაციული მოტივით ძალადობრივი ქმედების საჯაროდ მოწოდებას (სისხლის სამართლის კოდექსის 239[1] მუხლი), ყველა იმ შემთხვევაში, სადაც არსებობს ასეთი დანაშაულის დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულება.
- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში პარლამენტმა შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები და სიძულვილის მოტივი დამამძიმებელ გარემოებად განსაზღვროს ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის.

8. სიძულვილის ენის მონიტორინგი

სიძულვილის ენის ძირეული მიზეზების ანალიზი და ამ ფენომენთან ბრძოლა მოითხოვს კომპლექსურ მონაცემებს სიძულვილის ენის გავრცელების, სამიზნე ჯგუფებისა და ავტორების შესახებ. საქართველოში არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებზე; თუმცა, რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია და სახალხო დამცველი დოკუმენტურად აღრიცხავენ სიძულვილის ენის გამოყენებას ჟურნალისტებისა და პოლიტიკოსების მიერ და აქვეყნებენ შესაბამის ანგარიშებს.

რეკომენდებულია:

- სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობით, დაიწყოს დისკუსია და მუშაობა სიძულვილის ენის შესახებ მონაცემების შეგროვებაზე და განისაზღვროს ამ პროცესზე პასუხისმგებელი პირი.
- სიძულვილის ენის მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, მომზადდეს და საჯაროდ გამოქვეყნდეს ერთიანი ანგარიშები.
- სიძულვილის ენის მონიტორინგის პროცესში სახელმწიფომ გაითვალისწინოს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შეგროვებული მონაცემები და, შესაძლებლობის ფარგლებში, მხარი დაუჭიროს არასამთავრობო ორგანიზაციების

საქმიანობას ამ კუთხით; ასევე, რეაგირება მოახდინოს მონიტორინგის შედეგებზე და ჩაერთოს იდენტიფიცირებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების განხილვაში.

9. *სიძულვილის ენაზე რეაგირების კოორდინაცია*

სახელმწიფო და არასახელმწიფო დაინტერესებული მხარეები, ზოგადად, თანხმდებიან, რომ სიძულვილის ენასთან საბრძოლველად საჭიროა კოორდინირებული ძალისხმევა. ეს პროცესი მოითხოვს სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობას, გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას. რეკომენდებულია საკოორდინაციო პლატფორმის შექმნაც, რომელიც ხელს შეუწყობს თანამშრომლობას საჯარო დაწესებულებებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის. საწყის ეტაპზე მიზანშეწონილია, პლატფორმა გაეცნოს წინამდებარე რუკას და წარმოდგენილ რეკომენდაციებს, ასევე, განსაზღვროს სამუშაო მეთოდები.

რეკომენდებულია:

- სხვადასხვა დაწესებულებას შორის თანამშრომლობის განმტკიცება სიძულვილის ენასთან საბრძოლველად.
- შესაბამისი სივრცის შექმნა სიძულვილის ენასთან ბრძოლის ახალი ინიციატივების განსახილველად.
- პროცესში უმცირესობებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების მოსაზრებათა გათვალისწინება.

დანართი 1. ადგილობრივი დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა

სისტემურ ანალიზთან დაკავშირებულ აქტივობებში მონაწილეობდნენ შემდეგი ადგილობრივი დაინტერესებული მხარეები:

სახელმწიფო დაწესებულებები

- ცენტრალური საარჩევნო კომისია
- მთავრობის ადამიანის უფლებათა სამდივნო
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
- შინაგან საქმეთა სამინისტრო
- სახელმწიფო მინისტრის აპარატი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში
- პარლამენტი
- პროკურატურა
- უზენაესი სასამართლო
- ეროვნული კომუნიკაციების კომისია
- სახალხო დამცველის ოფისი
- სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი

მედია, კომუნიკაცია, თვითრეგულირება

- საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი
- ეროვნული კომუნიკაციების კომისია
- ჟურნალისტური ეთიკის ქარტია

სამოქალაქო აქტორები

- ჩართულობისა და განვითარების ცენტრი
- კოალიცია თანასწორობისთვის
- თანასწორობის მოძრაობა
- საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI)
- სამოქალაქო პლატფორმა „არა ფობიას“
- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
- „ჰაიარტუნი“ - საქართველოში სომეხთა სამოციქულო ეკლესიის ეპარქიის კულტურულ-საგანმანათლებლო და ახალგაზრდული ცენტრი
- ადამიანის უფლებათა კვლევითი ცენტრი
- დემოკრატიული ცვლილებების ინსტიტუტი

- სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED)
- მედიის განვითარების ფონდი (MDF)
- საქართველოს ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ნაციონალური საბჭო
- „პროაქტივ ჯგუფი ჯორჯია“
- უფლებები საქართველო
- ეთნიკური აზერბაიჯანელი ახალგაზრდების პლატფორმა „სალამი“
- კავშირი „საფარი“
- სოციალური სამართლიანობის ცენტრი
- თბილისი პრაიდი
- Tbilisi Shelter City
- ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI)
- ქოლგა
- კავშირი „21-ე საუკუნე“
- ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი
- ახალგაზრდული ასოციაცია „დრონი“
- Zinc Network

დანართი 2. ბიბლიოგრაფია

წინასაარჩევნო მონიტორინგი, 2020, მედიის განვითარების ფონდი (MDF);

სიძულვილის ენა - 2019, მედიის განვითარების ფონდი (MDF);

სიძულვილის ენა - 2018, მედიის განვითარების ფონდი (MDF);

„სიძულვილის ენა საჯარო სამსახურში: ეთიკის ნორმების დარღვევაზე რეაგირების მექანიზმების ანალიზი“, 2019, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI);

სიძულვილის ენის გამოყენება თანამდებობის პირთა/საჯარო მოხელეთა მიერ და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხები, 2014-2016, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI);

გამოხატვის თავისუფლება და სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლების დაცვა, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), 2020;

პარლამენტმა ეთიკის კოდექსი ეფექტიანი სანქციების გარეშე მიიღო, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო;

სახელმწიფოს მიერ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისა და „რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისთვის“ პასუხისმგებლობის შემოღების მცდელობები, 2020;

რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოში, ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI);

რასიზმი და ქსენოფობია საქართველოში - უცხოელთა უფლებები საქართველოში, 2019, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI);

სიძულვილის ენასთან ბრძოლა - სახელმძღვანელო წესები მედიისთვის, ჟურნალისტური ეთიკის ქარტია;

მედიის ფინანსური გამჭვირვალობა, 2019, მედიის განვითარების ფონდი (MDF);

სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციასთან ბრძოლისა და პრევენციის და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, 2019;

სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციასთან ბრძოლისა და პრევენციის და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, 2020;

ECRI-ის ანგარიში საქართველოს შესახებ, მონიტორინგის მე-5 ციკლი, 2016;

ECRI-ის დასკვნები საქართველოსთვის გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ, 2019;

ECRI-ის ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია No.15, 2015;

რელიგიისა და რწმენის თავისუფლება საქართველოში, 2020-2021, ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI);

საფრთხე, რომელიც ემუქრება გამოხატვის თავისუფლებას საქართველოში, 2019, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI);

გამოხატვის თავისუფლების საკანონმდებლო და პრაქტიკული გამოწვევები საქართველოში და მათი გადაწყვეტა საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, 2021, უფლებები საქართველო.

კანონმდებლობა:

საქართველოს კონსტიტუცია;

საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ;

საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;

საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ;

საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ;

მაუწყებელთა ქცევის კოდექსი;

საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსი;

საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ;

საქართველოს მთავრობის დადგენილება საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ;

პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსი;

საქართველოს საარჩევნო კოდექსი;

საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ;

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

დანართი 3. გამოწვევები, განხილული სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით გამართულ სემინარებზე

ქვემოთ წარმოდგენილია იმ გამოწვევების ჩამონათვალი, რომლებიც გამოვლინდა სამაგიდო კვლევითა და დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრებით. შემდგომ, ისინი მხარეებმა განიხილეს სამუშაო შეხვედრების ფარგლებში.

1. როგორ ვებრძოლოთ ქალებისა და ლგბტი თემის მიმართ სიძულვილის ენის ნორმალიზებას?
2. როგორ გავაუმჯობესოთ საგანმანათლებლო სისტემა, რომ თანასწორობისა და ტოლერანტობის ფასეულობები ყველამ გაიზიაროს?
3. როგორ გვაზარდოთ ცოდნა სიძულვილის ენისა და მისი შედეგების შესახებ?
4. როგორ გავამარტივოთ სიძულვილის ენის შემთხვევათა შეტყობინების პროცესი?
5. როგორ განვამტკიცოთ მაუწყებელთა თვითრეგულირების ორგანოების ეფექტიანობა?
6. როგორ შევზღუდოთ სიძულვილის ენის გამოყენება პოლიტიკოსების მიერ?
7. როგორ მივაღწიოთ შეთანხმებას სიძულვილის ენის ერთიან და ამომწურავ განმარტებასთან დაკავშირებით?
8. როგორ გავავლოთ ზღვარი სიძულვილის ენასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის?
9. როგორ გავაუმჯობესოთ სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებზე რეაგირება ონლაინ და სოციალურ მედიაში?
10. როგორ შევძლოთ ზოგიერთი ჯგუფის რადიკალიზაციის პრევენცია?
11. როგორ ვებრძოლოთ ყალბ ამბებს?
12. როგორ გავუმკლავდეთ ნარატივებს, რომელთა თანახმადაც ადამიანის უფლებებს დასავლეთი გვახვევს თავს?
13. როგორ ვებრძოლოთ სიძულვილის ენის ნორმალიზებას?
14. როგორ ავირიდოთ უარყოფითი სტერეოტიპების გავრცელება სკოლაში?
15. როგორ დავუპირისპირდეთ სიძულვილის ენას დადებითი ნარატივებით უმცირესობების შესახებ?
16. როგორ გავაუმჯობესოთ ხარისხიან მომსახურებასა და განათლებაზე წვდომა უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში?
17. როგორ ავამაღლოთ ჟურნალისტთა მგრძნობელობა და ცნობიერება სიძულვილის ენასთან მიმართებით?
18. როგორ გავაუმჯობესოთ საჯარო მოხელეთა და პარლამენტართა ეთიკის კოდექსის ეფექტიანობა?
19. როგორ გავაუმჯობესოთ რეაგირება პოლიტიკოსების მიერ სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებზე წინასაარჩევნო კამპანიებისას?
20. როგორ დავიცვათ რელიგიის თავისუფლება და სეკულარული სახელმწიფოს პრინციპები?

21. როგორ დავეხმაროთ სიძულვილის ენის ავტორებს (სამართალდამრღვევებს) შეცვლაში?
22. როგორ დავეხმაროთ პოლიტიკოსებს დადებითი როლის შესრულებაში?
23. როგორ გავფილტროთ სიძულვილის ენის შემცველი განცხადებები და ძალადობის წაქეზება მედიის მხრიდან?
24. როგორ ვებრძოლოთ სიძულვილის ენას მედიაში?

დანართი 4. სამოქმედო იდეები, განხილული სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით გამართულ სემინარებზე

ქვემოთ წარმოდგენილია სამომავლო ინიციატივების ჩამონათვალი, რომლებიც გამოვლინდა სამაგიდო კვლევისა და დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე და დეტალურად გაანალიზდა სემინარების ფარგლებში, სამომავლო პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით.

განათლება

მასწავლებელთა ტრენინგი	შემუშავდეს კომპლექსური მიდგომა; არსებული აქტივობები ინტეგრირდეს ახალ აქტივობებთან; მასწავლებლებს, კერძოდ, სამოქალაქო განათლების, სოციალური მეცნიერებების, ლიტერატურისა და ისტორიის პედაგოგებს, ჩაუტარდეთ ტრენინგები თანასწორობასა და ტოლერანტობაზე, რათა ისინი გახდნენ დისკრიმინაციასთან ბრძოლის ელჩები საჯარო სკოლებსა და უნივერსიტეტებში.
განათლება მცდარ ინფორმაციასა და მედიის როლზე სიძულვილის ენის გავრცელებაში	ეროვნულ დონეზე დაიგეგმოს ფორმალური და არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობები მცდარ ინფორმაციაზე, სტერეოტიპებსა და მედიის როლზე სიძულვილის ენის გავრცელებაში, რათა მასწავლებლებსა და სტუდენტებს განუვითარდეთ კრიტიკული შეფასების უნარი გავრცელებულ ახალ ამბებსა და ნარატივებთან მიმართებით.
კურიკულუმებში გენდერული თანასწორობის თემის გათვალისწინება	სკოლის სასწავლო პროგრამებს დაემატოს გენდერული თანასწორობის პრინციპებთან დაკავშირებული საკითხები.
უნივერსიტეტების ჩართვა	უნივერსიტეტები ჩაერთონ მასწავლებელთა მომზადებაში და გადაიხედოს საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები.

სამოქალაქო განათლება	მეტად ინვესტიცია ჩაიდოს საგანში „სამოქალაქო განათლება“, რათა ის გახდეს პლატფორმა, რომლითაც გავრცელდება ტოლერანტობისა და თანასწორობის ღირებულებები.
მონიტორინგი მასწავლებელთა ტრენინგზე	მონიტორინგი გაეწიოს მასწავლებელთა ტრენინგს, დასწრებისა და შედეგების ჭრილში.

ცნობიერების ამაღლება

ცნობიერების ამაღლება სიძულვილის ენისა და მისი გავლენის შესახებ	ხელი შეეწყოს სიძულვილის ენაზე ცნობიერების ასამაღლებელ აქტივობებსა და საინფორმაციო კამპანიებს სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიისთვის, კერძოდ, შემდეგ საკითხებზე: რა არის სიძულვილის ენა, როგორ შეიძლება მისი გამოყენება ინტერნეტში და ინტერნეტს გარეთ, რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს ამ ფენომენს და რატომ არ უნდა გამოვიყენოთ იგი.
ალტერნატიული ნარატივების გავრცელება ისტორიული მემკვიდრეობის შესახებ	შეიქმნას ალტერნატიული ნარატივები, სადაც ხაზგასმული იქნება საქართველოს ისტორიული მემკვიდრეობა, გამდიდრებული მრავალფეროვანი კულტურით, ასევე, უმცირესობათა როლით პოლიტიკაში, კულტურასა და ეკონომიკაში.
ჟურნალისტთა ცნობიერების ამაღლება	ამაღლდეს მომავალი ჟურნალისტების ცნობიერება, გაუმჯობესდეს მათი ცოდნა სიძულვილის ენის შესახებ და ხელი შეეწყოს თანამშრომლობას მედიასა და აკადემიას შორის.
ცნობიერების ამაღლება სამუშაო ადგილზე	საჯარო და კერძო კომპანიებში ამაღლდეს ცნობიერება სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციისა და სიძულვილის ენის ასარიდებლად, განსაკუთრებით, საჯარო მოხელეებისთვის.
სოციალური პლატფორმების კრეატიულად	სოციალური პლატფორმები კრეატიულად გამოიყენებოდეს სიძულვილის ენაზე ცნობიერების ასამაღლებლად,

გამოყენება ახალგაზრდების ჩასართავად	განსაკუთრებით კი - ახალგაზრდა თაობების ჩართულობისთვის.
საჯარო პირთა დადებითი განცხადებების წახალისება	წახალისდეს თანასწორობის მხარდამჭერი განცხადებები საჯარო პირთა მხრიდან, როგორებიც არიან პოლიტიკოსები და რელიგიური ლიდერები.

ადვოკატირება

ადვოკატირება უმცირესობებისთვის	ხელი შეეწყოს ადვოკატირების კამპანიებს - განსაკუთრებით, სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან - რომლებიც ღიად უჭერს მხარს უმცირესობებს.
რეაგირება სიძულვილის ენის შემთხვევებზე	საჭიროა მკაცრი რეაგირება სიძულვილის ენის შემცველ განცხადებებზე, რათა მათ ყოველთვის მოჰყვეს ადეკვატური პასუხი.
რადიკალიზაციის საწინააღმდეგო პოლიტიკა	მხარი დაეჭიროს რადიკალიზაციის საწინააღმდეგო სახელმწიფო პოლიტიკის შექმნას.

მონიტორინგი

სიძულვილის ენის შემთხვევებზე მონიტორინგი პოლიტიკის შექმნის მიზნით	მონიტორინგი გაეწიოს სიძულვილის ენის გავრცელებას და გამოვლინდეს ასეთი შემთხვევები; ხელი შეეწყოს კოლაბორაციას ექსპერტებს შორის.

ანგარიშების გამოქვეყნება სიძულვილის ენის შესახებ	მომზადდეს და საჯაროდ გამოქვეყნდეს ერთიანი ანგარიშები, რომლებიც ეყრდნობა სიძულვილის ენაზე მონიტორინგს.
ახალი პოლიტიკის ხელშეწყობა	მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით (ვინ არის სამიზნე, წყარო და ა.შ.), შემუშავდეს პრევენციული და ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა.
მონიტორინგი პოლიტიკოსთა განცხადებებზე	პარლამენტის ეთიკის საბჭომ მონიტორინგი გაუწიოს დეპუტატთა განცხადებებს და რეაგირება მოახდინოს მათზე; სახელმწიფო უწყებებმა მონიტორინგი გაუწიონ სიძულვილის ენის გამოყენებას საჯარო მოხელეთა/თანამდებობის პირთა მხრიდან და რეაგირება იქონიონ ასეთ შემთხვევებზე.

პოლიტიკოსთა როლი და არჩევნები

პოლიტიკური პარტიების საქმიანობის რეგულირება	ხელი შეეწყოს პოლიტიკური პარტიების თვითრეგულირების მექანიზმს, დისკრიმინაციასა და სიძულვილის ენის გამოყენებაზე რეაგირებისთვის.
ცესკოს რეაგირების განმტკიცება	გაუმჯობესდეს ცესკოს რეაგირება, კერძოდ: 1. გამკაცრდეს შესაბამისი სანქციები და აღმოიფხვრას სიძულვილის შემცველი კონტენტი; 2. მომზადდეს კანონპროექტი, რათა გამოსწორდეს არსებული საკანონმდებლო ხარვეზი და ცესკოს შეეძლოს სასამართლოსთვის მიმართვა, სიძულვილის შემცველი კონტენტის აკრძალვის მოთხოვნით.
ანტიდისკრიმინაციული მემორანდუმი	პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური პარტიებისთვის მომზადდეს მემორანდუმი დისკრიმინაციული ენის გამოუყენებლობაზე.

სიძულვილის ენის განმარტება

სიძულვილის ენის განმარტება ქცევის კოდექსებში	ეთიკის კოდექსებს დაემატოს სიძულვილის ენის განმარტება.
სიძულვილის ენის განმარტება ევროპის საბჭოს განმარტებაზე დაყრდნობით	სიძულვილის ენის განმარტება შემუშავდეს ევროპის საბჭოს განმარტების გამოყენებით.
დისკუსიების ინიცირება სიძულვილის ენის განმარტებაზე	ინიცირება გაეწიოს საჯარო დისკუსიებს სიძულვილის ენის განმარტების მნიშვნელობაზე.

მედია და ონლაინ მედია

დისკუსიები ონლაინმედიის თვითრეგულირებაზე	ინიცირება გაეწიოს საჯარო დისკუსიებს ონლაინმედიის თვითრეგულირებაზე, ასევე, ქცევის კოდექსის შემოღებაზე ინტერნეტპროვაიდერებისა და პლატფორმებისთვის.
სიძულვილის ენის ხილვადობის შემცირება	მედიამ გაფილტროს სიძულვილის შემცველი განცხადებები - ისე, რომ არ შეზღუდოს გამოხატვის თავისუფლება და, ამავდროულად, არ დაუთმოს დიდი სივრცე სიძულვილის ენის გამავრცელებლებს.

თვითრეგულირების მექანიზმები

„დაინტერესებული პირის“ განმარტების გაფართოება	გაფართოვდეს „დაინტერესებული პირის“ განმარტება, რათა მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოში საჩივრის წარდგენა შეეძლოს არა მხოლოდ პროგრამაში ნახსენებ პირს, არამედ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და, რა თქმა უნდა, სიძულვილის ენის სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლებსაც.
ცნობიერების ამაღლება შეტყობინების წარდგენის წესებზე	ამაღლდეს ცნობიერება მედიასაშუალების თვითრეგულირების ორგანოსათვის მიმართვის შესაძლებლობაზე.
თვითრეგულირების მექანიზმების აღსრულება	გაგრძელდეს მუშაობა თვითრეგულირების ორგანოთა ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად.
პარლამენტართა ქცევის კოდექსის ფუნქციონირების პერიოდული შემოწმება	დარწმუნდით, რომ სიძულვილის ენის რეგულაციები, რომლებიც ვრცელდება პოლიტიკოსებზე, ეფექტიანად მუშაობს.
ჟურნალისტთა მომზადება თვითრეგულირების მექანიზმთა შესახებ	ხელი შეეწყოს ჟურნალისტთა მომზადებას თვითრეგულირების მექანიზმთა მნიშვნელობისა და ფუნქციონირების შესახებ.

სამართალდამცველი ორგანოები

პოლიციელთა მომზადება	პოლიციელთა ტრენინგის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოთ იმ სამართალდამცველებს, რომლებიც მუშაობენ ძირითადად ეთნიკური/რელიგიური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების იდენტიფიკაცია	ჩატარდეს გამოძიება სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა გამოსავლენად.
მონიტორინგი სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე	მონიტორინგი გაეწიოს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებსა და მათი სამართლებრივი დევნის ეფექტიანობას.
თანამშრომლობა სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან მებრძოლ უწყებებს შორის	ხელი შეეწყოს უწყვეტ თანამშრომლობას პროკურატურას, შსს-სა და სასამართლოებს შორის, რათა მათ განიხილონ სიძულვილის ენის სხვადასხვა შემთხვევა, შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულები და შესაბამისი პრაქტიკა, აზრთა თანხვედრის სფეროების გამოსავლენად.